საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 26 თებერვალი 1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ქუჩებში 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. ხაზგასმითი განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნისიათ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის მისამართი: გრიბოედოვის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 45 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 45

თავზარდაცემული და გულდათუთქული მშობლები: ნოე და მაშო, პაწია დები: ქეთო და თინია ჯიბლაძეები გულითადის სწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი: საყვარელ შვილის, ხოლო მეორენი პატარა ძმის ბილანიშვილის სახელობის გიმნაზიის მოწაფის

ზინოჩის

უდროოდ დაკარგვას, დაკრძალვა ხუთშაბათს 26 თებერვალს (ვერის) სოფელ ამაღლებაში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში. (66 2—2)

დიდით დამწუხრებული ბებია ბაბუცა ჯლუღის ასული, შვილი მისი ილიკო ჯიბლაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი დაუვიწყარ შვილი შვილის, ხოლო მეორე ძვირფას ძმის შვილის

ზინოჩის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 26 თებერვალს სოფ. ამაღლებაში (ვერაში) იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში. (660 2—2)

გულდამწვარი ნიკოლოზ, მარიამი, თამარი, ნინა და ნონიკო ამით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს უდროოთ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარ მეუღლის, მეორის რძლის, დანარჩენთა დედის

ოლა ჯანუყლოვისას

გამოსვენება 28 თებერვალს ნიკოლოზის ქუჩიდან № 46, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (670 1—1)

ღრმად დამწუხრებული სონა დედით და მაკო ჯობძეები ამით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს პირველის და მეორესი რძლის, მესამესი ბიცოლას

ოლას

გარდაცვალებას, დაკრძალვა დღეით ხუთშაბათს 26 ამ თვის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება ნიკოლოზის ქუჩა № 46. (671 1—1)

გულდათუთქული მშობლები: ვასო და მარუსა და ბიძა გრიშა დუმბაძეები, მამიდა და ბიძა ქალერია და სულიკო ლიასამიძეები აუწყებენ ნათესავ ნაცნობ მეგობრებს მათი უსაყვარლესი პატარა

ეთერის

გარდაცვალებას. დავიდოვის ქუჩა № 27. ლიასამიძის სახლი. (683—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ალექსანდრე ალექსი-ძე ჯობაძე დაობლებული პატარა შვილებით ალიოშათი, ქეთოთი და სერიოჟათი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხვალ 27 ს თებერვალს ქ. სურამში ღვთიების ეკლესიაში იქნება გადახდილი წლის წირვა და პანაშვიდი (დასაწყისი წირვისა ათს საათზე) პირველის დაუვიწყარის და დანარჩენების უძვირფასესის დედიკოს

ალექსანდრე სარდიონის ასულის ჯობაძის

სულის მოსახსენებლად. (685 —1—1)

ხუთშაბათს, 26 თებერვალს არტისტულ საზოგადოების თეატრში დრამატიული ამხანაგობა „ტ ა რ ტ ო" მართავს სპექტაკლს

ქალაქ გორის დაზარალებულთა სასარგებლოდ

პროგრამის მიხედვით სპექტაკლი მრავალფეროვანი და მეტად საინტერესო იქნება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მუდამ თანამგრძნობი თფილისის საზოგადოება ხალისიანად დაესწრება აღნიშნულ სპექტაკლს და ამით თავის წვლილს გაიღებს უმწეოთა დასახმარებლად. (უფ 1—1)

მუშათა კოოპერატივ „აღორძინების" გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მან მიიღო მომარაგების სამინისტროდან შემდეგი იაფ-ფასიანი სურსათი:

შაქარი ჩაი ბრინჯი და ფუმფუმა

მუშა მოსამსახურეებზედ დასარიგებლად. ირჩის რაიონის განაწილება თანახმად სასურსათო წიგნაკების წარმოდგენისა დაიწყება პირველ მარტს, დილის რვა საათიდან შემდეგ მაღაზიებში:

1) საბურთალო
2) ვერა, ოლღის ქ. ს. № 26
3) მთაწმინდა, ლეგიდოვის ქ. ს. № 11
4) ავლაბარი ლაზარევის ქ. ს. № 7.
5) ბელოგორის—
6) თუმანოვისა თუმანოვ. ქ. ს. № 9
7) ქრთამის უბანი
8) მ ლაკნისა, მელიქ-ჰინის ქ. ს. № 10
9) დიდუბისა სამეგო ქ. ს. № 4
10) ნაძალადევისა იურიევის ქ. ს. № 11
11) დიდუბისა ელისაბედის ქ. ს. № 12. (5 2—1)

ექიმი ბ. თ. ოქროპირიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.).

ევროპის ვალი საქართველოსადმი

ის გარკვეული პოლიტიკური ხაზი, რომელსაც საქართველო მტკიცეთ ადგია დღიდან თავის დამოუკიდებლობისა, ამ ბოლო ხანებში უფრო და უფრო იმარჯვებს მთელ ამიერ კავკასიაში. ამ პოლიტიკას ორი მთავარი პრინციპი უდევს საფუძვლად: 1) ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მიერ თავის დამოუკიდებლობის უცვლელ და უდავო პირობათ მიჩნევა და ამ დამოუკიდებლობის დაცვა ყოველნაირ გარეშე ძალისაგან; 2) ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთობის მოგვარება შეთანხმების გზით და სხვა კულტურულ საშუალებებით და უშუალოთ საკუთარი ძალებით, უცხო სახელმწიფოების ჩაურევლად.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პოლიტიკური ხაზი დღეს მთელი ამიერ-კავკასიის ხაზია. ამ ხაზს უკანასკნელ ხანებში იმდენათ მტკიცეთ ადგია ამიერ-კავკასია, რომ მისთვის არ გადმოუხვევია არც იმ დროს, როდესაც დენიკინელთა პოლიტიკას გამარჯვებულებათ სთვლიდნენ მთელ რუსეთში და მას არ უხვევს არც დღეს, როდესაც დენიკინის პოლიტიკა ასე სასტიკათ დამარცხებულია, ძლევამოსილი ბოლშევიზმი მთელ რუსეთშია გაბატონებული და უკვე მძლავრად აკაკუნებს ამიერ-კავკასიის კარებს დიდი თავგამოდებით. არ იქნება, რომ ვთქვათ: თუ ამიერ-კავკასია არ მოხვდება ბოლშევიზმის პოლიტიკის წრეში, ყველაზე მეტი ღვაწლი ამ საქმეში საქართველოს მიუძღვის. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ასეთი პოლიტიკური ხაზი ძლიერ ხელსაყრელია „შეთანხმების" სახელმწიფოთათვის, რადგან ბოლშევიკ-პან ისლამისტების კავშირი ბევრათ უფრო მეტად და ევროპის სახელმწიფოსათვის ბევრათ უფრო საშიში გახდება, ამიერ კავკასიაშიც რომ განმტკიცდეს მისი ბატონობა. ბოლშევიკურ ანარქიისაგან დ ხსნა ამიერ კავკასიისა—ამ მეტად ძნელს და მძიმე მიზანს პირნათლად და მარჯვეთ ატარებს საქართველო. ვგით საქართველოს საზღვრებში ბოლშევიზმი სრულიად წელში გატეხილი და დაუძლურებულია უმეტესად იმიტომ, რომ ხალხში მას არავითარი თანაგრძნობა და არავითარი გასავალი არა აქვს. ბოლშევიზმის სრული ლიკვიდაციაც ადვილათ მოხერხდებოდა ამიერ-კავკასიაში, რომ ამ საქმეს ხელს არ უშლიდეს ერთი ჯერ ჯერობით გადაუჭრელი დაბრკოლება.

საქართველოში დაუძლურებულმა ბოლშევიზმმა დღეს თავი შეაფარა საქართველოს საზღვარს იქით დარჩენილ ბათუმს და ბათუმის ოლქს. ბათუმში გაიჩინა ბოლშევიზმმა თავისი მიუვალი სიმაგრე და იქიდან ებრძვის იგი საქართველოს. იქიდან გადმოდიან მეზობელ გურიაში აგიტატორები, იქიდან იგზავნება საქართველოს ყველა კუთხეებში აურაცხელი რიცხვი პროკლამაციებისა, მოწოდებებისა, ფურცლებისა, რომლების საშუალებითაც ყოველს ჭორს ავრცელებენ საქართველოზე, მის ხელისუფლებაზე. ბათუმში გამაგრებულ ბოლშევიკებთან ბრძოლაში ჩვენი მთავრობა სრულებით უძლურია. და რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ბათუმის საკითხის გადაჭრა, რაც უფრო დაგვიანდება მისი გადასვლა საქართველოს ხელში, ლოიალურ მოქმედების პრინციპზე მდგომი საქართველო უფრო და უფრო დასუსტდება ამ ბრძოლაში და უპასუხისმგებლო ბოლშევიზმი კი, რომელიც ლოიალობას არ დაგიდევს, უფრო და უფრო გაძლიერდება.

კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება ბათუმის საკითხის გადაუჭრელობის საშიში შედეგი, თუ გავიხსენებთ, რომ ბოლშევიკები ბათუმში იმდენათ პირდაპირ თავის საქმეს არ აკეთებენ, რამდენადაც თავის ახალ მოკავშირე პან ისლამისტების საქმეს. თუ ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს საზღვრებში არ შევა, მას ბატონ-პატრონათ მხოლოდ ერთი ძალა გახდება—ოსმალეთის პან ისლამისტები. სანამ არსებობენ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკები, შეუძლებელია, რომ ბათუმი და მისი ოლქი საბჭოთა რუსეთის ხელში იყოს ისე რომ, იქვე არ არის—ბათუმში მოკალათებული ბოლშევიკები პან ისლამისტებისთვის იღწვიან. პან-ისლამისტების ბათუმში გაბატონება კი, როგორც არა-ერთხელ გვირკვევია, უდრის ამიერ-კავკასიის ყველა სახელმწიფოების და პირველ რიგში საქართველოს მოსპობას.

მაშასადამე, საქართველოს ხალხი დღეს პირდაპირ ტრაგიკულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი: იგი თავის თვალით ხედავს, როგორ ილესება მის დასაკლავათ ამოღებული მახვილი და ხმალს კი ვერ გამოუძრევია, რადგან არ უნდა ლოიალობა დაარღვიოს. საქართველოს დემოკრატიას ძალაც შესწევს და გულიც ერჩის, რომ მოსპოს მტრის ავაზაკური განზრახვა ძალადობით, მაგრამ იგი ხელფეხ-შებორკილ მაყურებლად დამსგავსებია, რადგან მას არ უნდა იმოქმედოს ევროპასთან შეუთანხმებლად.

დღეს ჩვენი ხალხის ასეთი მდგომარეობა აუტანელი ხდება. დგება ისეთი წამი, როდესაც შესაძლებელია საქართველოს მთავრობის ამ ლოიალობისადმი თანაგრძნობა შემცირდეს ჩვენ ხალხში და ბოლოს უკმაყოფილებაც კი გამოიწვიოს. ადვილად ასახსნელია, რომ ხალხის გუნების ასეთი გამოცვლა დიდათ საზიანო გახდება თვით „ანტანტის" სახელმწიფოთათვის, რადგან შესაძლებელია ამ გარემოებამ ხალხში გაანელოს ის გულწრფელი თანაგრძნობა, რომლითაც ჩვენი ხალხი ევროპას უყურებს.

საქართველო ამიერ-კავკასიაში, ევროპიულ პოლიტიკას იწევს. ის, რასაც საქართველო აკეთებს ამიერ-კავკასიაში, ევროპისათვისაც ხელსაყრელია. მაშასადამე ევროპამ საქართველოს წინაშე ერთნაირი ვალი უნდა იგრძნოს. ამ ვალის გადახდა ევროპისთვის ძნელი არ არის: მან უნდა ანგარიში გაუწიოს სასიცოცხლო ინტერესებს და დღესვე გადაჭრით სთქვას ის სიტყვა, რაც სათქმელია და რის არ თქმა სამარცხვინო უსამართლობა იქნებოდა:

ბათუმი და ბათუმის ოლქი დღესვე უნდა საქართველოს გადაეცეს.

დამფუძნებელი კრება

24 თებერვლის სხდომა.

მიწის ძვრის შესახებ ალ. ლომთათიძის მოხსენება.

ალ. ლომთათიძე. მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! თქვენ მოგეხსენებათ, რომ მთავრობის განცხადების შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ აირჩია კომისია, რომელიც უნდა წასულიყო გორში, დაეთვალიერებინა დაზარალებული ადგილები და მოხსენება გაეკეთებინა აქ თქვენს წინაშე შესახებ იმისა, თუ რამდენათ დიდი არის ზარალი, და რა დახმარება და რა სახით უნდა აღმოუჩინოს ამ დაზარალებულთ. კომისია, რომელშიაც შედიოდენ ყველა ფრაქციის წარმომადგენელნი, გარდა ერთისა, რომელმაც ვერ მოახერხა წარმომადგენლის გაგზავნა, და პრეზიდიუმის ორი წევრი, გაემგზავრა გორში, და სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ მხოლოდ მეორე დღეს, შაბათ დილით კომისიამ შესძლო განადგურებულ ადგილების ახლო დათვალიერება და ყველაფრის დაწვრილებითი გაგება. მე მგონია, რომ არაა საჭირო ბევრი ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში არის ქალაქი გორი, ეს დიდი ქალაქი ქართლისა, უძველესი ქალაქი, ეკონომიური და კულტურული ცენტრი დიდი პროვინციისა და აგრეთვე ის სოფლები, რომელნიც ქალაქ გორის აკვრიან გარშემო. შეიძლება, ჩემის აზრით, თამამად ითქვას, რომ უდიდესი ფანტაზია ადამიანისა ვერ წარმოიდგენს იმ საშინელებას, რომლის სამოსელში გახვეულია გორი და მის ახლო მახლო მდებარე სოფლები. ჩვენ იქ, გორში, მეტადრე ხიდისთავში, ნამდვილი თვალნათელი ჯოჯოხეთი ვნახეთ. არ არის ხიდისთავში არც ერთი ქოხი, რომელშიც შესაძლებელი იყოს თავის შეფარება. გორში არც ერთი შენობა არ არის, რომ შეიძლებოდეს კაცმა სთქვას: ეს შენობა გადარჩა უბედურებას და შეიძლება რომელიმე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციამ თავი შეაფაროს და იქ თავისი სახელმწიფოებრივი ფუნქციები აასრულოს. არც ფოსტა-ტელეგრაფი, არც სამაზრო ერობა, არც ქალაქის გამგეობა არც ერთი ამათგანი არ მუშაობს იმიტომ, რომ თავშესაფარი არა აქვთ და თუნდაც, რომ ჰქონდეთ, იმისთანა საშინელი ჯოჯოხეთი ახვევიათ გარს, რომ, რასაკვირველია, ძნელია იფიქრონ და იმუშაონ იმაზე, რაზედაც ფიქრობდენ და მუშაობდენ ნორმალურ პირობების დროს.

ყველაზე უფრო დაზარალებული არის სოფ. ხიდისთავი. კომისია გორიდან წავიდა შაბათს, საღამოს 6 ს. და ამ დროისათვის ჩვენ ხელთ გვქონდა შემდეგი დაწვრილებითი ცნობები: ხიდისთავში და იქვე მდებარე პატარა უბან სოფ. ოზერაში 59 დაჭრილი—მკვდარები იყო დათვლილი, შიგ გორში—9, სკრაში (სოფელში)—17, სულ—84 მკვდარი იყო. ეს განსხვავება ხიდისთავის და გორის შუა აიხსნება იმით, რომ ხიდისთავი განადგურებული არის პირველი მიწის ძვრისაგან ღამით. გორში კი იმ ღამეს იმდენი ზარალი არ ყოფილა, მაგრამ მეორე დღეს 2 ნახ. საათზე, რომ იძვრა მიწა, ეს მსხვერპლი მაშინ მოჰყვა ნანგრევებ ქვეშ. განადგურებულია შემდეგი სოფლები: სკრა, გორისჯვარი, უფლის ციხე, ქერელი, თორტიზა, ბერბი და დიცი. დანარჩენი სოფლების შესახებ დაწვრილებითი ცნობები ჩვენს ხელთ არ იყო მ.შ.ნ. ამბობენ ატენის ხეობის შესახებ, რომ მთელი ხეობა, და უმთავრესად შუაგული ატენის ხეობისა და მისი სოფლები, სრულიად განადგურებულ იქნა მე-2 მიწის ძვრის დროს. ჩვენს მისვლამდე ამ ჯოჯოხეთში გახვეული ხალხი პირდაპირ უწყლო მდგომარეობაში იყო. არსაიდან არავითარი დახმარება მას არ ჰქონია. კომისიამ პირველად ხიდისთავი დაათვალიერა, იქ ვნახეთ, თოვლში ბავშვები, მოხუცები, ავათმყოფები ნახევრათ გაგიჟებულნი ეყარნენ ღვთის ანაბარათ. იყო ასეთი სურათიც: ეზოში შიშველი, თოვლში ჩამჯდარი დედაკაცი რაღაცაზე ქვითინებს და ბუტბუტებს, ჩვენ ვამხნევებთ, მისგან გვესმის: ერთად ერთი ჩემი იმედი ეს იყო, მის მეტი არავინ მყოლია, ესეც აქა მყავს!! გადმოიქცევს თოვლს და ჩვენ ვხედავთ 9—10 წლის ვაჟიშვილი ნანგრევებ ქვეშ მოყოლილა და გაჰყინულა. აი იქვე, ხანში შესულ ცოლქმარს ოთხი შვილი, რომ დაუმარხავთ ნანგრევებ ქვეშ. ამისთანა შემთხვევები ხიდისთავში ხშირი იყო და შედეგი ამისა იყო 59 მკვდარი, როგორც წინეთ მოგახსენეთ. კომისიამ დაუყოვნებლივ შემდეგი დახმარება აღმოუჩინა. ჩვენთან ერთად მოვიდა გორში შაბათ დილას სანიტარული მატარებელი, სამასი ფუთი პური, შაქარი, საექიმო პერსონალი, მედიკამენტები; უპირველეს ყოვლისა ხიდისთავში გაიგზავნა ჩვენი განკარგულებით კარვები და მესანგრეები, რომლებიც ჩვენთან ერთად მოვიდნენ გორში, და რომელნიც მთავრობის განკარგულებით იყვნენ იქ გამოგზავნილნი და პირველ დახმარების აღმოჩენას შეუდგნენ: კარვების გამართვას, საკვები პუნქტების გახსნას, ნანგრევების გათხრას და ქვეშ მოყოლილების გამოტანას. გორისაკენ, რომ წავედით, შემოგვხვდენ ერობის და ქალაქის წარმომადგენელნი: „როგორ არის საქმე, არის თუ არა რაიმე ზომები მიღებული?"

— „ჩვენ მხოლოდ ერთ რამეს ვაკეთებთ: დავდივართ ხალხში, ვამხნევებთ და ვანუგეშებთ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს სიტყვას, როდესაც წამ-და-უწუმ ქანაობს მიწა, 2—3 საათს განმავლობაში და იწყებს ხალხი წივილ კივილს, ხალხი ენუქება აქეთ იქით, რა უნდა გავაკეთოთ ასეთ პირობებში!"

— და მართლაც რაიღა გაკეთება შეიძლება!..

აღსანიშნავია ის თავგანწირვა და მოქალაქეობრივი ერთგულება, რომელიც ამ საშინელების დროს გამოიჩინა ჩვენს შეიარაღებულ ძალას ნაწილი ჯარის და გვარდიის სახით; მიუხედავათ იმ შიშისა და სიკვდილისა, რომელიც ყოველ ფეხის გადადგმაზე მოსალოდნელი იყო, ეს ძალა თავის ადგილას იყო ამ საშინელების დროსაც და ახლაც ერთ რამეზე ფიქრობდა, რომ დახმარებოდა რითიმე იმ ტანჯვაში და საშინელებაში მყოფ ხალხს. მთელი ღამე და დღე ჯარისკაცები ტრიალებდენ, მუშაობდენ, ამხნევებდნენ და ზომებს იღებდენ, რომ თუ ვინიცობაა, „მაროდიორები" გაჩნდებოდნენ, დაუყონებლივ დაეხვრიტათ, მაგრამ უნდა აღვნიშნო თქვენს წინაშე, რომ ჩვენს წამოსვლამდე არც ერთი შემთხვევა მაროდიორობისა, მტაცებლობისა არ ყოფილა, თუმცა თქვენ ხშირად შეხვდებოდით ასეთ სურათს: სახლი ჩანგრეულია, ეტყობა სასადილო ოთახი არის; ხედავთ ჰქეს ძვირფას სამოვარს, სხვადასხვა სათუთ ნივთებს, მაგრამ ყველა ეს ხელუხლებელია. კამოდი ნახევრად ჩამტვრეული არის, უჯრაში ჩანს ძვირფასი ნივთეულობა, მაგრამ მიუხედავად ასეთი სურათისა, მაროდიორობას და მტაცებლობას ადგილი არ ჰქონია.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების შენობები რომ გადარჩენილიყო, ეს ამ საშინელების დროს დიდი ბედნიერება იქნებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ყაზარმები, რომლებსაც ამბობდნენ, რომ ყველაზე მკვიდრი შენობა ყოფილა, ნახევრათ დანგრეულია, კედლები დახეთქილია, ჭერი ჩამოწოლილია. ეკლესია ყაზარმებთან რომ იყო, ნახევრათ დანგრეულია; შიგ ქალაქის ეკლესია, სობორი, ნახევრათ დანგრეულია. შიგ გორში არის აგრეთვე სომხების ძველი ეკლესია, რომ დახედვით თითქოს სდგას ტაძარი, რომ მახვილი ხელი მოხრილია და ჩანგრეულია, გაკვირვით, რითი სდგას. რომ შეიძრას ცოტა, გადმოვარდება და საშიშროებას წარმოადგენს. ბევრი შენობა არის ასეთ მდგომარეობაში.

რა კი ასეთი მდგომარეობა იყო დამფუძ. კრების კომისია უპირველეს ყოვლისა ამნაირი საკითხის წინაშე დადგა: რაიმე უნდა მოეწყოს სახელდახელოთ, რომელიც გასწევს ხელის უფლებით შემოსილ ძალის მაგიერობას. თათბირის დროს გამოირკვა, რომ შესაძლებელია მოწყობა დროებითი ხასიათის კომიტეტის. ეს კომიტეტი მოეწყოთ კიდეც. მასში შევიდნენ შემდეგი ორგანიზაციის წარმომადგენელნი: ერობის, გვარდიის, ჯარის და ქალაქის თითო წარმომადგენელი. ჩვენი წრიდან დამფუძნებელ კრების წევრს ლ. ონიაშვილს დაევალა თავმჯდომარეობა და მთელს კოლეგიას დაევალა დროებით, სანამ მთავრობა გაგზავნის თავის ერთ-ერთ წევრს უფლებით მოსილს, ამ კომიტეტს განაგრძოს მუშაობა, რომელიც უპირველეს ყოვლისა უნდა გამოიხატოს სწრაფ დახმარებაში ავადმყოფებისა და დაჭრილებისათვის საჭირო სურსათის მიწოდებაში და ქალაქის ევაკუაციის მოხდენაში. ამ საკითხს ჩვენ ამნაირათ შევხედეთ: სამი ადგილი იყო საითკენაც შეიძლებოდა მათი მიმართვა: თფილისი, ბორჯომი და სურამი. ჩვენ ვფიქრობდით, რომ სჯობია ბორჯომსა და სურამში გაგვეგზავნა იმიტომ, რომ ზამთარია და ბევრი სააგარაკო შენობა თავისუფალია, მაგრამ გამოირკვა, რომ სურსათი თითქმის სულ არ მოიპოვება არც ბორჯომში და არც სურამში და მარტო თავ-შესაფარი რომ მისცეთ ასეთ დიდ უბედურებისაგან დასჯილ ხალხს და რიგიანათ პური ვერ მიაწოდოთ, ეს მიზანშეწონილი არ იქნება. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ: არ შეგვეშალა ხელი მცხოვრებლებისათვის, საითაც უნდა წასულიყვნენ, უმეტესობა თფილისს მოაწყდა. საღამოს 5 საათზე პირველი მატარებელი მზათ იყო, ამ მატარებელში მოთავსდა დიდი ნაწილი იმათგანი, ვინც სადგურზე იყო თავმოყრილი. ამ დროს მოგვაწვდა მეორე მატარებელი, რომელიც გრაკალში იყო და რომელსაც ჩვენ ვუცდიდით. ამგვარათ პირველ სანიტარულ და მეორე სახალხო მატარებელში ჩვენ შევძელით მოგვეთავსებინა როგორც ავათმყოფები, ისე იქიდან წამოსვლის მსურველნი.

მოქალაქენო, მართალი არის, რომ საშინელი სურათი გადაიშალა ჩვენს წინაშე. მთელი ეს სივრცე, ქალაქი გორი რომ ავიღოთ ცენტრათ, შვიდ ვერსის მანძილის გარშემო, ამ საშინელების მსხვერპლათ შეიქნა.

მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ერი, რომელსაც არა ერთხელ განუცდია ასეთი საშინელი დღეები, შესძლებს რომ ეხლაც მოიკრიბოს ძალ-ღონე, გამჭრიახობა, სიმხნევე, ნივთიერი ძალა და ამ უბედურებისაგან ის გამარჯვებული გამოვიდეს. კომისიის დადგენილება ასეთია: ჯერ-ხნობით, მას ჰგონია, რომ სწრაფად, სახელდახელოთ დახმარებისათვის რესპუბლიკის ხაზინამ უნდა გადასდოს ოცი მილიონი მანეთი, ეს, რასაკვირველია, წვეთია ზღვაში. მხოლოდ იმ ერთი დღის განმავლობაში, როცა ჩვენ იქ ვიყავით მარტო პური 500 ათასი მანეთისა დაიხარჯა; შაქარი, ხორცი, საექიმო დახმარება და სხვა; რასაკვირველია, მთელი გორის აღდგენა და დანგრეულ სოფლების აშენება რომ შევძლოთ, მილიარდობით უნდა ვიანგარიშოთ. მაგრამ პირველი დახმარება აუცილებელი არის. ჩვენ გვგონია, რომ ოცი მილიონი ამ პირველ დახმარებისათვის უნდა გადიდდეს. გარდა ამისა, ეჭვს გარეშე არის ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხალხი გაიძახის და დარწმუნებულია, რომ აქ თითქოს ვულკანმა უნდა ამოხეთქოს, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ამნაირი სულიერ განწყობილებაში არის, კომისიას ჰგონია, რომ პირიქით, ხალხს უნდა ჩავუნერგოთ ურყევი რწმენა იმისა, რომ იქვე უნდა დაბინავდეს, იქვე გაიჩინოს ცხოვრება, ძირს დანგრეული ხელ-ახლა აღაშენოს და მკვდრეთით აღადგინოს ქალაქი გორი. ის კარვები, რომელიც ხალხს აქვს, მართალია ეხლა იცხოვრებაც მიუდიდათ, მაგრამ მაინც ძნელია ამ ყინვისა, სიცივის და ქარის დროს, რომელიც ჩვეულებრივი მოვლენაა გორში, იცხოვროს ხალხმა. ამისთვის სა-

დღეს

იაპონიის საზღვაო დივიზია მარსელში მივიდა. ინგლისის ესკადრა—კონსტანტინეპოლში.

ოსმალეთის სომხების პატრიარქი ლონდონს გაემგზავრა, რათა უმაღლეს საბჭოს გააცნოს სომხეთის მოთხოვნილებანი.

ფრანგული პრესის ცნობით ახლო ხანში რუსეთში ტრანსპორტის აღდგენა შეუძლებელია.

ბოლშევიკების ცნობით როსტოვისა და ნახიჩევანიდან საბჭოთა ჯარმა მოხალისენი გარეკა. თურქესტანში საბჭოთა ჯარმა ხივა აიღო.

ჭირო არის ფართოზომითი ხასიათის თავ-შესაფარი მოეწყოს გორში და აგრეთვე სოფლებში.

ამისთვის საჭირო ხე-ტყის მასალა, ჩვენის აზრით, მთავრობამ უფასოდ უნდა მისწოდოს ხალხს. აუცილებლად საჭირო არის თბილი ტანსაცმელი მივაწოდოთ ჩვენი საწყობებიდან უფასოდ. საექიმო დახმარება, მედიკამენტები და სანოვაგეც უფასოდ უნდა მივაწოდოთ ხალხს. და ამგვარად ცოტათი მაინც მომაგრებული თვითონვე შესძლებს გაიჩინოს თავისი ქერა და ცხოვრებას შეუდგეს. და მთავრობა, დამფუძნებელი კრება, მთელი ერის დახმარებით ადვილად შესძლებს გააკეთოს ეს საქმე: აღადგინოს გორი და დაზარალებული სოფლები, მაგრამ, მოქალაქენო, რაც გინდა გულუხვნი ვიყვეთ ჩვენ, რაც გინდა მთელმა ერმა მოიკრიბოს მთელი თავისი ძალა, ჩვენ, რასაკვირველია, საკუთარი ძალით ვერ შევძლებთ ამ ძნელ და მძიმე საქმის გაკეთებას და მის სასურველად დაგვირგვინებას. ამის შეძლება სამწუხაროდ არა გვაქვს. ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ დღესაც მთელი ერი ძაძებშია გახვეული და კომისიას ჰგონია, რომ მართლაც ეროვნული გლოვის დრო დაგვიდგა. მეზობლები, მეზობელი სახელმწიფოები და მათი ხალხები ამას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ და შეძლებისდაგვარად, ძმურ, კეთილმეზობლურ ხელს გამოუწვდიან ჩვენს ხალხს. ჩვენ გვგონია, რომ უნდა მოეწყოს ფართო ინფორმაცია და ეს ეროვნული უბედურება უნდა ფართო მასშტაბით ვამცნოთ არა მარტო აქ, მეზობლებს, არამედ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსაც, მის ხალხებსაც და ამერიკასაც. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ხალხი არ დარჩება განმარტოებული ამ საშინელების და კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და დახმარებას გაუწევს მას. ამის მაგალითები ვიცით ჩვენ. და ამ დღეებშიაც უკვე ვხედავთ, რომ უყურადღებოდ არ სტოვებენ ჩვენ გაჭირვებას და სათანადო დახმარების ნიშნები უკვე გვაქვს ხელთ. ასეთი არის ბატონებო, დამფუძნებელ კრების წევრნო, მოკლედ ყველაფერი ის, რის მოწმედ გახდა თქვენ მიერ გაგზავნილი კომისია გორში და მის მიდამოებში და რაც გამოარკვია მან ამ ცოტა ხნის განმავლობაში და რა ზომების მიღება გონია მას აუცილებელ საჭიროდ. მაშასადამე ჩვენ ჯერჯერობით უნდა გავიღოთ 20 მილიონი მანეთი სახელდახელო დახმარებისათვის, შემდეგ ჩვენ უნდა დავავალოთ მთავრობას, რომ ჩვენი საწყობებიდან მისცეს დაზარალებულთ საშუალება შეძენით თბილად ჩაცმისა, გამოკვებისა და ერთგვარით ხასიათის თავშესაფარების მოწყობისა. შემდეგ უნდა მოეწყოს ფართო ინფორმაცია ამ უბედურების შესახებ. დანარჩენი ორი ზომა იყო გადაწყვეტილი კომისიის მიერ, მაგრამ როდესაც ჩამოვედით, უკვე გავიგეთ, რომ მთავრობას ეს ორივე ზომა გაუტარებია ცხოვრებაში და მიუღია სათანადო ზომები. ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს გორში და ახლო-მახლო სოფლებში ფოტოგრაფიის და სინემატოგრაფის აპარატები, რომ გადაგვეღო ის საშინელი სურათები, რომ უფრო ადვილი გასაგები ყოფილიყო ყველასთვის მთელი სურათი ამ საშინელებისა. მთავრობამ ეს აპარატები გაგზავნა, ისე რომ ჩვენი გადაწყვეტილება უკვე მოუყვანია სისრულეში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კომისიაში, რომელიც ადგილობრივ იქნება, უნდა შედიოდეს მთავრობის წევრი, რომელიც ადგილობრივ მივა და იქ უხელმძღვანელებს დახმარების საქმეს. მაგრამ ესეც გაკეთებული ყოფილა ჩვენ ჩამოსვლამდე.

იმედს გამოვსთქვამთ, რომ არც ერთი მიყრუებული კუნჭულიც კი ჩვენი სამშობლოსი არ დარჩება, რომ თავისი წვლილი არ გამოიღოს და თავისი გამოძახილი არ გვამცნოს ამა თუ იმ სახით ამ ეროვნულ უბედურების გამო ფულით თუ ნატურით, ეს სულ ერთია. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს უბედურებას სათანადო ანგარიშს გაუწევენ, როგორც ახლო მეზობლები, ისე შორს მყოფნი, მეტადრე ამერიკის და ევროპის ხალხნი. და ასე, ამგვარად მათი დახმარებით და ჩვენი ენერგიით და თავგამოდებით, ჩვენ კვლავ ვიხილავთ ქართლის დედა ქალაქს მშვენიერად აღდგენილს და იმ სოფლებს, რომლებიც ამ უბედურების მსხვერპლად შეიქმნენ, ვიხილავთ კვლავ აშენებულს.

თავმჯდომარე. მოვისმინეთ რა მოხსენება კომისიისა იმ უბედურების შესახებ, რომელიც თავს დაატყდა გორს, გთხოვთ პატივი სცეთ იქ დახოცილთ ფეხზე ადგომით (დეპუტატები ფეხზე დგებიან).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის იუსტიციის მინისტრს არსენიძეს.

იუსტიციის მინისტრ რ. არსენიძის სიტყვა.

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! მივიღეთ თუ არა ცნობა გორში ასეთი საშინელი უბედურების დატრიალებისა, ერთ-ერთი მთავრობის წევრი შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჭიჭინაძე იმავე საათში გაემგზავრა ადგილობრივ ამ ცნობების შესაკრებად, და უკვე პარასკევს, ოც თებერვალს, საღამოს გვქონდა მიღებული დეპეშა იმ საშინელების შესახებ, რომელიც დატრიალდა გორში და მის ახლო-მახლო სოფლებში. შესდგა საგანგებო სხდომა მთავრობისა, რომელმაც აირჩია კომიტეტი დაზარალებულთა დასახმარებლად. და ამ კომიტეტის თავმჯდომარეობა დავალებული მქონდა და დღესაც მაქვს მე. და რაკი ეს დავალება მივიღე იმავე წუთს შევუდექ ამ კომიტეტის შედგენას იმ სამინისტროების წარმომადგენლებისაგან, რომელთა დახმარებაც ამ შემთხვევაში აუცილებელი იყო და იმ უმთავრეს საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან, ურომლისოდაც ამის გაძღოლა შეუძლებელი იყო. ესენი არიან სამინისტრო მომარაგებისა, გზათა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტროს სანიტარული განყოფილება, ქალაქთა კავშირი და ერობათა კავშირი. ყველა ამ წარმომადგენელთაგან შესდგება კომიტეტი დაზარალებულთა დასახმარებლად. პირველი ნაბიჯი, რომელიც ამ კომიტეტმა გადადგა, შეიკრიბა და მოიყარა თუ არა თავი, იყო ის, რომ გადასწყვიტა მთელი რიგი საკითხებისა დახმარების შესახებ და გადასწყვიტა ასე: ჩვენ ვფიქრობთ, რომ უპირველეს ყოვლისა ხალხს ესაჭიროება საკვები, სურსათი და ევაკუაციის მოწყობა. დანარჩენი საკითხები კი უნდა ადგილობრივ ყოფილიყო გამორკვეული და მოწესრიგებული. ამისთვის საჭიროდ დავინახეთ გაგზავნა როგორც ტეხნიკური, ისე საექიმო ძალებისა და საგანგებო რწმუნებულისა. გორში ასეთ რწმუნებულად დანიშნული იქნა ექიმი ზანდუკელი და მეც მასთან ერთად იმავე დღეს გავემგზავრე გორში. ის პირველი სურათი, რომელიც ვნახეთ, უკვე აგიწერათ წინანდელმა ორატორმა და მე ამის გან მეორებას არ შევუდგები და არც მინდა ეს საშინელი და პირდაპირ შემაძრწუნებელი სურათი გადავშალოთ თქვენს თვალ წინ. მხოლოდ შემიძლია ვთქვა, რომ მთელს გორში, ტეხნიკური კომისიის დათვალიერების შემდეგ, ჩვენ გავიგეთ გვეთქვა მხოლოდ ოთხი ბინის შესახებ, რომ ძალიან თამამ კაცს შეუძლიან იქ ღამე გაათიოს. მხოლოდ 50 ბინიდან მივეცით ნებართვა ხაზინასა და ქონების გამოტანისა. ხოლო დანარჩენ ადგილებში ასეთ ნებართვას ვერ ვაძლევდით. და თუ შედიოდნენ ქურდულად და ნაპარევათ, რომ იქიდან გამოეტანათ თავისი ბარგი, ნივთები, ჩვენ იძულებული ვართ მათ შევეგებოდით. ზოგიერთ ქუჩებში ისე დანგრეულა სახლები, რომ იქ გავლაც აკრძალულია, ვინაიდან მოსალოდნელია რომ სახლი ჩამოწვება და მიმავალ მგზავრს ქვეშ მოიტანს. გარდა იმ მიცვალებულებისა, რომელნიც უკვე ამოღებულნი არიან დღევანდლამდე, არის კიდევ რამდენიმე ადგილი, სადაც ჩვენ გვიჩვენეს, რომ იქ არიან ქვეშ მოტანებულნი, იქ მუშაობა უკვე დაიწყო. ჯერ მუშაობა არ იყო დამთავრებული და ამიტომ არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რამდენი მსხვერპლი აღმოჩნდება.

მეორე დღესვე დაიწყო დენა სოფლებიდან, უმთავრესად თემის წარმომადგენლებისა, რომელნიც თხოულობდნენ დახმარებას, რაიცა მოსვლა უმთავრესად იმით აიხსნება, რომ გორიდან ხალხი გავიდა და ყოველგან გაიტანა ცნობები, რომ გორში უკვე ჩამოვიდა მთავრობის წარმომადგენელი და დახმარებას იძლევა. კვირას ჩვენ მოგვივიდა 25 სოფლის წარმომადგენელი, გუშინ, 23 თებერვალს, ერთი ამდენი კიდევ დაემატა მათ უმთავრესად ატენის ხეობიდან, სადაც უმეტესი ნაწილი სოფლებისა დაზარალებულია. საერთო რიცხვი დაზარალებულ სოფლებისა არის 50. ამ სოფლების რაიონი იწყება ქალაქიდან გრაკალით და თავდება იქით ხურათი. ამ რაიონში 35—40 ვერსის მანძილზე ყველა სოფელი საშინლად დაზარალებულია, ქვის შენობები სულ დანგრეულია, არც ერთი არ დგას მიწაზე, განსაკუთრებით სოფლის სახლები, რომელნიც არ იყო ისე აშენებული, როგორც ამას მოითხოვს ტეხნიკური ცოდნა. მხოლოდ გომურები, ხის სახლები და წნულები გადარჩა და ხალხს იქა აქვს თავშესაფარი. საერთო რიცხვი გარდაცვლილებულთა აღწევს 200 კაცამდე. ამათში უმეტესი ნაწილი დახოცილია ხიდისთავში და ოხერაში, დანარჩენი სხვადასხვა სოფლებში. არ ყოფილა ისეთი სოფელი, რომ თვითეულში 4—5 მიცვალებულზე ნაკლები ყოფილიყო. უფლის ციხეში კი 24 მკვდარი ოჯახობებითა უკვე კვირამდე. ზოგიერთი თუ ქვეშ მოჰყვა ნანგრევებს და გარდაიცვალა, ზოგიერთი სასტიკად დაჩეხილი გამოიტანეს ნანგრევებიდან, მაგრამ, რადგანაც სასტიკი ყინვები იყო და არ შეეძლოთ მაშინვე ყველასათვის მიეცათ თავ-შესაფარი, გარდაიცვალნენ, ასე რომ მთელ რიგ დაზარალებულთათვის ვერ მოასწრეს დახმარების აღმოჩენა.

ასეთია საერთო სურათი. უკვე 200 მძიმე დაჭრილი და დაავადმყოფებული გამოიგზავნა თფილისის სხვადასხვა საავადმყოფოში. რაც შეეხება დანარჩენ ადგილებს—დღეს კიდევ გრძელდება დაჭრილების და დაავადმყოფებულების გამოგზავნა. არის ისეთი პირები, რომელნიც არა ნორმალურ მდგომარეობაში იმყოფებიან. პანიკა იმდენად დიდია, რომ ადამიანს დაკარგული აქვს გრძნობა შთაბეჭდილების მიღებისა და თითქმის ლაპარაკიც. შეგიძლიანთ დაიაროთ ქალაქი და თუ არ გამოელაპარაკებით, იშვიათია რამე გთხოვონ, გკითხონ ან დაგელაპარაკონ. სხვიდან მოყვანილნი და თითქმის გაბრუებულნი არიან. ეს არის საერთო სურათი ყველგან, როგორც სოფლად, ისე ქალაქში. მაგალითად ჩვენ ვნახეთ ზოგიერთი სოფელი, მე პირადათ არ მქონდა საშუალება ყველა მენახა, მე სხვა მოვალეობაც მქონდა, მაგრამ ზოგიერთმა წევრებმა, რომლებიც თან მახლდნენ, ისეთი ცნობები მოიტანეს, რომ სოფლები დანგრეულია, ხალხი გულხელ დაკრეფილი ზის და ელის, რომ ვინმეც მოვა და ეტყვის: აი ეს ქვა გადააბრუნე და პური ამოიღე. თითონ კი ეს ვერ მოუხერხებია. ასეთ პირობების მდგომარეობაში არის ხალხი. ასეთი არის სურათი მთელ ამ რაიონებში. დაწვრილებით არ შეიძლება ითქვას რამდენი მცხოვრები არის დაზარალებული ამ რაიონში, მაგრამ, მე მგონია, 70 000 ნაკლები არ უნდა იყოს. რასაკვირველია ამ ნგრევის დროს ყველაზე უფრო საშინლად დაზარალდა სანოვაგე, საქონელი და ხარ-კამეჩი და რაც გადარჩა დამფთხალი გაქცეულა, დღემდის პატრონს ვერ მოუძებნია და არ იციან სად არის. შესაძლებელია ყინვამ დაითაოს ის, რაც მიწის ძვრამ დააკლო. ამ ქალაქში ძალიან მცირე რიცხვი არის დარჩენილი საქონლისა და სანოვაგისა. იმ სოფლებში, რომლებსაც ბლომად ჰქონდათ სანოვაგე, იძულებულნი ვიყავით აქედან მიგვეწოდებინა პური და საზრდო. თვით ქალაქში თავზარი პირველ დღეებში იმდენად ძლიერი იყო, რომ თხოულობდნენ აქედან მიგვეწოდებინა შეშა მაშინ, როდესაც კომისიამ სხვადასხვა დაწესებულების ეზოებში აღმოაჩინა რამდენიმე საჟენი შეშა. მაგრამ ისიც კი ვერ მოეხერხებინათ ეთქვათ და გაეხსენებინათ, სად ჰქონდათ შენახული ესა თუ ის მათთვის საჭირო საგნები. უპირველეს ყოვლისა პირველი დახმარება, რომელიც თფილისიდან იქნა გაგზავნილი, იყო წითელი ჯვრის რაზმი, ქალ. კავშირის და აგრეთვე რაზმი იტალიელებისა, რომელნიც როგორც განთქმულნი ასეთ საქმეებში, წავიდნენ ყველაზე უფრო მოწყობილნი იმით, რაც ასეთ შემთხვევაში საჭირო არის. 90 და 3 ლატკა გამართეს, ჰქონდათ თბილი ტანსაცმელი, წყლის ასადუღებელი, რაც დაუყონებლივ დარიგებულ და განაწილებულ იქნა მცხოვრებლებში. ჩვენც ჩავიტანეთ რამდენიმე ასეული პალატკა, მაგრამ ყველა ეს ქალაქის მცხოვრებლებს ქალაქში მაინც ვერ აჩერებს. სურსათის მიწოდების საქმე რამდენიმე მოწესრიგებულია. გამოიცხვება პური, ჩაი, შაქარი—უკვე რამდენიმე მილიონ მანეთით დარიგებული ლაგდება და იგზავნება იქ. ყველას ეძლევა გირვანქა, გირვანქა ნახევარი პური, ჩაი, შაქარი. პირველ დღეს 2 გირვანქა ვძლევდით, რადგან ძალიან დამშეულები იყვნენ. ცხრა პუნქტი არის გახსნილი ქალაქში, ხიდისთავში ორი და დანარჩენ დაზარალებულ სოფლებში დაგზავნა პატარ-პატარა სანიტარული რაზმების ხელში პურის, ჩაის და შაქრის გასაწილებლად. სრული იმედი გვაქვს, რომ ყველა სოფლებიდან მოგვივა ცნობები, ისე რომ ამ ორი დღის განმავლობაში არც ერთი სოფელი არ დარჩება მოუვლელი, რომ პირველი საჭიროების დახმარება არ აღმოუჩინონ, როგორც საექიმო, ისე სურსათის მხრივ. მეორე საკითხი იყო მთავარი. ეს არის ევაკუაცია. აქ განსხვავება არის ქალაქის და სოფლის შორის. ქალაქი სრულიად ცარიელდება და მიდის, სოფლიდან კი არც ერთი ადამიანი ფეხს არ იცვლის. მათ კატეგორიულად განაცხადეს, რომ მამაპაპეულს ადგილს არ მოშორდებიან, ოღონდ რამე დახმარება იქვე აღმოუჩინოთ. ამგვარად ქალაქი თითქმის დაცარიელებულია, ხოლო სოფელს არ უნდა ევაკუაცია. ძალიან დიდი ქალაქში იყოს 4—5 ათასი მცხოვრები, ისიც იმიტომ, რომ ოჯახის უფროსები მამაკაცები ბრუნდებიან, რომ თავის ქონებას უთვალყურონ. ასე რომ ქალაქში იქნება 2000 მდე, მხოლოდ დანარჩენი გაიხიზნა ერთის მხრით სოფლებში, სადაც მიაწყდა დიდძალი ურმები, ზოგი თემის თაოსნობით, ზოგიც დაბარებული მცხოვრებლებისაგან. და ის ხალხი, ვისაც ნათესავები ჰყავდა მაზრაში, გაიხიზნა. გარდა ამისა, ყოველი მატარებელი ივსებოდა მცხოვრებლებით და იგზავნებოდა აქეთ. ბოლოს ჩვენ მოვაწყვეთ სამარშრუტო მატარებელი და გავგზავნეთ სურამში და ბორჯომში, სადაც სახლები არის დაქირავებული მათთვის. სურამში არის შექმნილი ერთგვარი განყოფილება მთავარ კომიტეტისა, ასეთივე განყოფილება არის თითონ გორში, სადაც ეძლევათ მცხოვრებლებს დახმარება. ასეთივე განყოფილება არის ბორჯომშიაც. ამის შემდეგ ჩამოვიდა სანიტარული და საექიმო რაზმები თელავიდან, დუშეთის მაზრიდან და ყველა ერობის ძალები ჩვენ განკარგულებაში გადმოვიდნენ და ისინი დაუყოვნებლივ გავგზავნეთ ყველა სოფლებში, რომ ავადმყოფები ჩამოეყვანათ და დახმარება აღმოეჩინათ. მეორე მთავარი ყურადღება საექიმო სანიტარულ დახმარებას ჰქონდა მიქცეული იმისთვის, რომ თუ შენობის დანგრევა ან აშენება იქნებოდა საჭირო, რამე გეგმა ყოფილიყო შემუშავებული. ამ მიზნით გაგზავნილი არის ქალაქთა კავშირის და სხვა დაწესებულებათა მიერ 4 ინჟინერი და 12 ტეხნიკოსი.

ესენი ხელმძღვანელობენ მცხოვრებლებს დანგრევა თუ დაშლა იქნება საჭირო სახლებისა, უჩვენებენ ხალხს როგორ შეიძლება იქ მოეწყონ საქონლის და ნივთების ამოღება და ამგვარად უხელმძღვანელებენ ამ საქმის მოგვარებას. უნდა ითქვას, რომ 10 ან 15 პროც. ამ სახლებისა თუ გამოდგება შესაკეთებლად. ასეთი არის შეხედულება გამოცდილ ინჟინრებისა. დანარჩენთ დასჭირდებათ დანგრევა, სრულიად დარღვევა და ახალი სახლების აშენება. ჩვენგან არის განზრახული შემდეგი ღონისძიების მიღება: გაიგზავნოს კომისია ინჟინრებისა და გეოლოგებისა, რომელნიც გამოარკვევენ ნიადაგის ვითარებას, შესაძლოა რამდენიმეჯერ მაინც გამოარკვევენ რა ხასიათისა და რით არის გამოწვეული ეს მიწის ძვრა, დაასკვნის რა გზით და რის გაშენება შეიძლება იქ. მეორე კომისია იგზავნება, რომელიც შეადგენს დაწვრილებით ნუსხას დაზარალებულ ოჯახებისას, ვის რამდენი ზარალი მოუვიდა და რა სახის დახმარება სჭირია. იქვე არის შედგენილი ტეხნიკური კომისია, რომელიც თანახმად გეოლოგიური კომისიის დასკვნისა, შეიმუშავებს სოფლის გაშენების გეგმას. ისე რომ მომავალში ასეთი უბედურების განმეორებისაგან ამნაირივე ზარალი არ მოგვივიდეს. შენიშნულია ერთი გარემოება, რომ სოფელში სახლები ტყუპ-ტყუპად არის აშენებული. და [illegible] დაიტანა. შეიძლება ეს ღობალი სახლები არ დაზარალებულიყო და ხალხი ქვეშ არ მოყოლოდა. აი ეს არის საერთო მდგომარეობა საქმისა, რომელზედაც მოგახსენებთ ამ ორი დღის ნამუშევარზე. რაც შეეხება იმ თანხას, რომელზედაც აღნიშნეს მცირე იქნებაო, მართლაც რომ მცირეა. ის ნივთიერი დახმარება, რომელიც სხვადასხვა უწყებამ გაუწია დაზარალებულთ, აღემატება ამ პროექტის თანხას თავის ღირებულებით. უნდა აღვნიშნო, რომ ის ნივთიერი დახმარება აღემატება სამჯერ გადასადებ ფულს. ისე რომ, ამ შემთხვევაში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დეკრეტის მეორე მუხლს, ე. ი. სანოვაგეს. ეს თანხა წვეთია ზღვაში, მაშინ როდესაც ამ ნივთიერ დახმარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად მიღებული გვაქვს 8 ვაგონი დახერხილი ხის მასალისა, რომელიც დავგზავნეთ სოფლათ ბარაკების ასაშენებლად. აგრეთვე მთელი რიგი სხვა მასალისა მივიღეთ: რკინეულობა, ლურსმანი და სხვა.

შემწეობა, რომელიც უკვე გაიგზავნა, ყოველივე ეს აფარებდა ფულად ღირს. ეს გაცილებით მეტად ღირს ვიდრე ის თანხა, რომელიც ჩვენ გავიღეთ.

ეს დეკრეტი შეადგენს არა ოც მილიონ მანეთის გაღებას, არამედ იმ დახმარებას, რომელიც აღმოჩენილია. იგი უდრის 60—80 მილიონს მანეთს, ასეთი დახმარება შეგვიძლიან პირველად. ამ უკანასკნელ დღეებში ხალხს ეტყობა გამოფხიზლების ნიშნები, ერთგვარი მუშაობა. ეს იმით აიხსნება, რომ კვირისა და ორშაბათს ხალხმა მუშაობა დაიწყო. ზოგმა თემმა თავისი ინიციატივით დიდი დახმარება აღმოუჩინა დაზარალებულთ. ამ დღეებში ცნობილმა 140 ურემი გამოგვიგზავნა ევაკუაციისათვის. ყველა ეს იყო საერობო ბეგარის სახით. მხოლოდ ვაძლევდით ურემზე ურემს 5—10 მანეთს სახარჯოდ. თავისთავად ცხადია, ეს დიდ დახმარებად უნდა ჩაითვალოს. აგრეთვე გომის თემმა გამოგზავნა ერთი ვაგონი ხორბალი, დანარჩენი ხალხიც დაგვპირდა მუშა ხელის მოხმარებას. ამნაირად ყოველმა მეზობელმა რაიონმა, რომელიც არ დაზარალებულა, დახმარება აღმოგვიჩინა იმ სახით, რა სახითაც ყველაზე უფრო აუცილებელი იყო გორისთვის; დაგვპირდნენ ფიზიკურ მუშა ხელსაც. მე იმედი მაქვს, თუ ასეთი თანაგრძნობა გაგრძელდება, თუ ყველა დახმარებას აღმოგვიჩენს, შესაძლო იქნება ამ ქალაქის აღდგენა. დარწმუნებული ვარ, მახლობელი სოფლები დახმარებას აღმოგვიჩენენ ყველა იმ საშუალებით, რომელიც მათ ხელში არის, ამის ნიშნები უკვე სჩანს. პირველი ნაბიჯი გადადგმულია. საჭირო არის დახმარება სახელმწიფოსი. ეს დახმარება უნდა გამოიხატოს არა თეთრ ფულით, არამედ ასეულ მილიონებით, ვინაიდან ამ ქალაქის აღდგენა ბოლოს და ბოლოს დღევანდელ კურსით მილიარდებით დაჯდება.

ასეთი დახმარების გაღება ერთის სახელმწიფოს მარტოდ მარტო არ შეუძლიან. მხოლოდ ფართო დახმარება მოგვცემს საშუალებას, ეს ქალაქი ისე აღვადგინოთ, რომ იქ ადამიანს არამც თუ შრომა შეეძლოს, არამედ წარმატებაც შესძლოს.

აკაკი ჩხენკელის სიტყვა.

მოქალაქენო! მას შემდეგ, რაც აქ ითქვა მომხსენებლისა და მინისტრის მიერ, მე აღარაფერი დამრჩენია სათქმელი. და საზოგადოთ რა უნდა ვსთქვათ. მოხდა უბედურება და ამ უბედურებას სათანადო ანგარიში უნდა გავუწიოთ.

ეს და გვაკლდა...

ჩვენ ამ უკანასკნელ წლებში ისეთი უბედურება გამოვიარეთ, ისეთ რთულ პირობებში ვიმყოფებოდით და ჩვენ ხალხს დასჭირდა იმდენი ენერგიის დახარჯვა, რომ მართლაც ის უბედურება, რომელიც გვეწია, ერთობ დამძიმებელია. მე ვფიქრობ ჩვენთვის საკმარისი იყო იმ ძალებთან შებრძოლება, ასე ვთქვათ საზოგადოებრივ ძალებთან შებრძოლება, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე გვაქვს. და სტიქიასთან ბრძოლა ჩვენ არ უნდა შეგვხვედროდა.

სტიქიას სტიქია უნდა დაუპირდაპირდეს. სტიქია უნდა იყოს ჩვენს არსებაში, ჩვენს თანაგრძნობაში, ჩვენს თანაგრძნობაში ჩვენს ხალხისადმი. ეს ძალა იმდენათ მტკიცე და მძლავრი არის, რომ შესძლებს სტიქიისებური სიძლიერით ამ ბუნებრივ სტიქიის მიერ გამოწვეული უბედურების დაძლევას. ამაში ყველანი ერთნი ვართ. აქ არ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც სტიქიას ეხება საკითხი, ერთი კლასის, ან წოდების ან სოციალ მდგომარეობაზე. ვფიქრობ, რომ ყველამ ერთად განურჩევლად წოდებისა, კლასობრივ მდგომარეობისა, განურჩევლად რწმენისა და ეროვნებისა, ვინც ცხოვრობს ჩვენ ტერიტორიაზე, გაუწოდოთ ხელი და აღმოუჩინოთ დახმარება იმას, ვისაც დახმარება სჭირია. მარტო დახმარება არ არის ჩვენი საქმე. მარტო დახმარება არ გააკეთებს საქმეს. ქართლის გული დაინგრა ჩვენ თვალწინ და გვსურს რომ აღდგეს. რომელნიც ამბობენ, რომ გორი აღარ არის, მე ვამბობ, გორი იქნება, არის უძლეველი ნებისყოფა ქართველი ერისა და მე იმედს გამოვსთქვამ, რომ რაკი არის ეს, მისი წარმომადგენლები აქ სათანადო ზომებს მიიღებენ, რომ სძლიონ ეს უბედურება. მე იმედს გამოვსთქვამ, რომ ყველა საზოგადოებრივი წრე, რა ორგანიზაციაც უნდა იყვნენ იგი, მეცნიერული, კულტურული, ხელოვნური თუ სხვა, გამოიღებენ ხელს და თავის წვლილს შეიტანენ ამ საერთო საზოგადოებრივ საქმეში. მე ვფიქრობ აგრეთვე, რომ ჩვენი დღევანდელი სულის კვეთება, რომლითაც მთელი საქართველო ყოფილა გამსჭვალული, ეს თანაგრძნობის სულისკვეთებები არ იქნება ხანმოკლე, იქნება ხანგრძლივი და მძლავრი, ვინაიდან საქმე არის ხანგრძლივი. ერთი დღის და თვის საქმე არ არის ქალაქის და სოფლის აშენება და ჩვენ კი გვინდა ისინი აღვაშენოთ. ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ მთავრობა თავის მხრივ გამოიჩენს ნამდვილ ორგანიზატორულ ნიჭს და უნარს ამ საქმის გაძღოლაში. ეს დიდი საქმეა. მთავრობამ კიდევ დაარსა ორგანო განსაკუთრებით ამ საქმის გასაძღოლად. იმედი მაქვს ეს ორგანო გააფართოვებს თავის მუშაობას, რომ მთავრობა დააყენებს [illegible] ამ მუშაობას, რომ იქნება გამოყენებული თანამედროვე ტეხნიკური, მეცნიერული, კულტურული საშუალებანი, რომ ის ნივთიერი დახმარება, რომელსაც გამოიღებს უპირველეს საქართველოს ხალხი და არა მარტო საკანონმდებლო დაწესებულება, არამედ ხალხმა უნდა გამოიღოს თავისი ნებით. ამ თანხას, ამ ქონებრივ დახმარებას ისე მოიხმარს მთავრობა, როგორც ეს შეეფერება [illegible] ჩვენს მდგომარეობას, [illegible]. ჩვენი ფრაქცია უერთდება ამ წინადადებას, რომელიც შემოსულია დეკრეტის სახით. ამასთანავე წინადადება შემოგვაქვს დამფ. კრების პრეზიდიუმმა გამოსცეს მოწოდება დამფ. კრების სახელით, რომელშიაც უნდა იყოს გამოხატული ყველა ის აზრები, რომელიც წარმოითქვა, ან წარმოითქმება. მე ვფიქრობ ყოველი აზრი ერთი და იგივე იქნება არსებითად. გარდა ამისა ფრაქცია ფიქრობს, რომ თვით დამფ. კრების წევრებმა ერთდროულად უნდა გაიღონ რაიმე წვლილი. ამაზე რა თქმა უნდა ვერ გავჩერდებით, მაგრამ დღეს-დღეობით მაინც უნდა გავიღოთ. მე მგონია, რომ ეს თანხა იქნება 130 ათასი მან., რომელიც დამფ. კრების წევრებმა დღესვე უნდა გამოიღონ თავის დიეტიდან. შემდეგ, რა თქმა უნდა, ლაპარაკი არ შეიძლება მე მგონია იმაზე, რომ იმ რაიონებში, სადაც უბედურება მოხდა, რომ რაიმე გადასახადები დაედოს დაზარალებულ ხალხს. ეს უნდა იქნეს უეჭველად შეჩერებული და ჩვენ დიდი მუშაობა მოგველის. ამ მუშაობაში, იმედი მაქვს, აქტიური მონაწილეობას მივიღებთ და ჩვენ პირადად ყველა კუთხეებში ვიმუშავებთ, დახმარებას გაუწევთ მთავრობას და აგრეთვე იმ ორგანიზაციებს, რომელნიც უეჭველად შეიქმნება ჩვენს ტერიტორიაზე ამ მიზნისთვის და ამ საერთო ძალით, ვფიქრობთ და იმედი გვაქვს დავძლევთ ამ საერთო სტიქიურ უბედურებას.

მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა.

მიღებულ იქნა აგრეთვე სოც.-დემ. ფრაქციის წინადადებანი დეპუტატების მიერ თავის დიეტიდან 130 ათასი მან. გაღებისა და დაზარალებულ სოფლებში ხარჯის აკრეფის შეჩერების შესახებ.

უკანასკნელი ცნობები

შავი ზღვის გუბერნიაში.

გაგრა. შავი ზღვის გუბერნიის განმათავისუფლებელმა კომიტეტმა, რომელიც 18 ნოემბერს გლეხების ყრილობამ აირჩია და რომელმაც თებერვალს თავისი მიზნის პირველ ნაწილს მიაღწია დენიკინელების სოჭის ოლქიდან გარეკით, შემდეგი განცხადებით მიმართა ყუბანის საოლქო რადას: 1) შავი ზღვის პირის გლეხებსა და მუშებს ყუბანის დემოკრატიასთან სურთ ზავი და მეგობრობა; 2) შავი ზღვის პირის განმათავისუფლებელმა კომიტეტმა აიღო რა თავის ხელში მთელი ძალა-უფლება, მიმართავს იგი ყუბანის საკანონმდებლო რადას მოწოდებით, რათა მან დაუყონებლივ გაიწვიოს თავისი ჯარები ტუაფსის ფრონტიდან. 3) განმათავისუფლებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს ყუბანის რადას ტუაფსის ფრონტის მოხსნის შემდეგ შავი ზღვის პირთან ეკონომიური დამოკიდებულება დაიჭიროს და თავისი წარმომადგენლები გამოგზავნოს. 4) განმათავისუფლებელ კომიტეტმა თავის რწმუნებულების სახით პირდაპირი დამოკიდებულება დაიჭირა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის სახელმწიფოებთან, აგრეთვე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან; 5) ჩვენი ჯარების მიერ სოჭის დაჭერის შემდეგ ნამოსახლით მოვიდა ინგლისის პარლამენტიორი, რომელსაც ზემო აღნიშნული განმარტებანი მიეცათ და რომელმაც მოგვცა იმის გარანტია, რომ ისინი ჩვენს მოქმედებაში არ ჩაერევიან.

კომიტეტის თავმჯდომარე გ. ფილიპოვსკი. თავმჯდომარის ამხანაგი ვორონოვი. მდივანი ხ. ტერ გრიგორიანი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

25 თებერვალი

ინგლისური პრესის ცნობები.

(ბათუმიდან)

დრედნოუტების გაყიდვა.

საომარო ფლოტი ყიდის 9 დრედნოუტს, რომლებიც 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი ღირს.

სამოქალაქო ომი რუსეთში.

იუწყებიან, რომ დასავლეთის მხარეზე ბოლშევიკებმა დნესტრზე მყოფი ტირასპოლი აიღეს. ყაზახებმა გადალახეს მდ. მანიჩი შეხვრთავთან და მტერი გარეკეს ცარიცინ-ეკატერინოდარის რკინის გზის ხაზზე. დასავლეთ რუსეთში ლატიშებმა ამ უკანასკნელი ოპერაციების დროს ბოლშევიკების წინააღმდეგ ხელთ იგდეს 2599 ტყვე, 7 ზარბაზანი, 79 ტყვიისმფრქვეველი, ლოკომოტივები, ვაგონები და ორი ჯავშნიანი მატარებელი.

ფრანგული პრესის ცნობები.

სამხედრო ტყვეები.

ბერლინის სამხედრო ტყვეთა ბიუროს ცნობით 20 იანვრიდან საფრანგეთის ბანაკებიდან სამშობლოში დაბრუნებულა 190,000 ტყვე, მათ შორის 43,110 ოფიცერი.

სომხეთის საკითხი.

კვირა დილით წინა დღით მარსელიდან ჩამოსული ოსმალეთის სომხების

პატრიარქი ზავენი ლონდონის მატარებელში ჩაჯდა. ლონდონში იგი უმაღლეს საბჭოს წარუდგენს სურვილებს სომეხი ხალხისას, რომელიც ეხლაც კი ოსმალეთისაგან ტანჯვას განიცდის. იგი სთხოვს მოკავშირეებს, რომ მათ ნამდვილი და საქმიანი ზომები მიიღონ სომეხი ერის დასაცავად.

იაპონიის სამხედრო დივიზია.

იაპონიის სამხედრო დივიზია მანჯურში მიდის. სამხედრო მინისტრის სახელით გემ „ტოლიდას" ბაქანზე ამირბარ ხორიუშ მიესალმა ამირბარი ზონანი. ცოტახნის შემდეგ იაპონიის ამირბარი და მისი მთავარი შტაბი სატრანსპორტს [illegible].

ინგლისის ესკადრა.

ინგლისის ესკადრა კონსტანტინოპოლში მიდის.

კოლჩაკის პანაშვიდი.

კვირას კოლჩაკის სულის მოსახსენებლად რუსულ ეკლესიაში გადახდილი იყო პანაშვიდი.

სამხრეთ სლავების კაბინეთი.

ბელგრადიდან იუწყებიან სამხრეთ-სლავის კაბინეთის შეცვლის შესახებ. საბჭოს ახალმა თავმჯდომარემ პროტიჩმა ტრუმბიჩისაგან თანხმობა მიიღო ახალ კაბინეტში გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დარჩენის შესახებ. ფიქრობენ, რომ ტრუმბიჩის გარეშე საქმეთა მინისტრათ მოწვევა ადრიატიკის საკითხში სამხრეთ სლავის ძველი პოლიტიკის გაგრძელებას ნიშნავს.

სავაჭრო დამოკიდებულებისათვის.

რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის გამო „ტანმა" შემდეგი ცნობები შეჰკრიბა. ტრანსპორტის დეზორგანიზაცია რუსეთში იმდენათ დიდია, რომ ძნელია საზღვარ გარეთთან მან ეკონომიური კავშირი განაახლოს. ამტკიცებენ, რომ ერთი ნახევარი მილიარდი ფრანკის დახარჯვა იქნება საჭირო ჩრდილოეთ რუსეთის რკინის გზებზე რომ 3 ან 4 მილიონი ტონა შეიტანონ, ან გაიტანონ. სამხრეთ რუსეთში მდგომარეობა ამ მხრივ თითქმის უკეთესია, მაგრამ იქაც საჭირო იქნება(?) ფრანკის დახარჯვა, რომ ტრანსპორტის საქმე მოეწყოს. ბოლშევიკებს შეუძლიათ გადახდა მხოლოდ... (მეტი არ მიგვიღია).

ბოლშევიკების ცნობები.

შრომის ფრონტზე.

მოსკოვი. 24 თებ. არისკი „იზვესტიაში" სწერს: ჩვენი სასურსათო კამპანიის პირველ თვეებში ჩავყარეთ თითქმის 104 მილ. ფუთი ხორბლეულობა, ე. ი. იმდენი, რამდენიც შარშან მთელი წლის განმავლობაში. ეს სურსათი რომ დამშეულ ცენტრისათვის მიგვეწოდებია, ჩვენ მაშინ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოვიდოდით.

საქმე ტრანსპორტშია. საჭიროა მთელი ყურადღება ორთქმავლებისა და ვაგონების შეკეთებას მივაპყროთ. გაზ. „პრავდა" სწერს: ტრანსპორტისათვის მობილიზაციასთან ერთად საჭიროა მხარის ყველა ცოცხალ ძალთა მობილიზაცია არსებულ ქარხნებისა და სახელოსნოებისა, რომლებიც ორთქმავლების შესაკეთებლათ გამოდგებიან. ეს უნდა მოხდეს მანამდის, სანამ აღდგენილი იქნება ორთქმავლების საკეთებელი დიდი ქარხნები. ამგვარი საგანგებოდ მოწყობილი ქარხანა-სახელოსნო ჩვენ მრავლათ მოგვეპოვება.

სამხედრო ცნობები.

ქვემო დნესტრისა და შავი ზღვის ნაპირებზე მდგომარეობა უცვლელია. როსტოვის რაიონში, ჩვენმა ნაწილებმა ორი დღის მკაცრი ბრძოლისა და ქუჩებში ცხარე შეტაკების შემდეგ მტრის ძლიერი ძალები გამორეკეს როსტოვსა და ნახიჩევანთან და დონს იქით გადარეკეს. ნოვოჩერკასკის რაიონში ჩვენმა ნაწილ-მა ბაგაევსკიდან 5—8 ვერსტზე რამდენიმე ხუტორი დაიკავეს, მტრის კონტრ-იერიშები უკუგდებულია. მანიჩზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ტიხორეცკაის რაიონში ჩვენი ნაწილები ბრძოლით წინ იწევენ, ხელთ იგდებენ ტყვეებსა და სხვა დავლას. სტავროპოლიდან ჩრდილო აღმოსავლეთით 25 ვერსზე ცვალებადი ხასიათის ბრძოლებს აწარმოებს. თურქესტანში ჩვენმა ჯარებმა ხივა აიღეს.

მოსკოვის საბჭო.

გუშინდლამდის მოსკოვის საბჭოში ამორჩეული იყო 833 დეპუტატი. აქედან 762 კომუნისტი, 28 თანამგრძნობი, 54 უპარტიო, 9 მენშევიკი და 1 ანარქისტი. დეპუტატთა შორის არჩეულია სტეკლოვიც.

ახალი ქარხანა.

„ეკონომიური ცხოვრება" იუწყება: განზრახულია პეტროგრადში ააშენონ ახალი ქარხანა ხის კანისაგან ლითონის სპირტის გამოსახდელად.

ბრძოლა სიბინძურესთან.

პსკოვი. 23 თებ. დაიწყო წმენდის კვირა. ყოველ დღე იკითხება ლექციები და იმართება ექიმების საუბარი. მცხოვრებით უფასოდ აძლევენ საპონს და აბანოს ბილეთებს.

სამარა. 20 თებ. სიბინძურესთან და პარაზიტებთან საბრძოლველად სამარაში იხსნება 6 სადეზინფექციო კამერა, რომლითაც მცხოვრებნი უფასოდ ისარგებლებენ.

„პრავდის" მიმოხილვა.

ნელა, მაგრამ თანდათანობით სწყდება ჩვენ გარშემორტყმული ჯაჭვები. ინგლისი [illegible] პოლონეთს [illegible]. პოლონეთში ფართო მასა საბჭოთა რუსეთთან ზავს მოითხოვს. გერმანიამ ოფიციალურათ იცნო საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი კოპპ, ლიტვინოვი მოლაპარაკებას აგრძელებს, ესტონეთში რუსეთის დელეგაცია წავიდა. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: საერთაშორისო ბურჟუაზია მით უფრო [illegible] ეცემა ჩვენზე ახალ-ახალი თავდასხმისათვის, რამდენათაც მეტი ცვალებადი ხასიათის გამარჯვება გვექნება ჩვენ ოფიცერთა და ბარონთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სამხრეთის კონტრრევოლუცია უნდა ალიკვიდოს, რათა მოკავშირეთა იმპერიალიზმს ჩვენზე თავდასხმის ხასიათი მოეშალოთ. დიდი მოხდის ამერიკასა და იაპონიის შორის გარდაუვალი შეტაკება, დიდ გერმანელი იმპერიალისტები ოცნებობენ სამაგიეროს გადახდაზე. საბჭოთა რესპუბლიკა უნდა გახდეს სოციალისტური წყობილების მტკიცე ფუძე.

ახალი ამბები

პური. ზოგ დაწესებულებებში გავრცელებულია ხმები, რომ სასურსათო განყოფილება მუშა მოსამსახურეთა კუთვნილ პურს [illegible] გზავნის გორში და ამიტომ მუშა მოსამსახურეებს პური არ მიეცემათო.

სასურსათო განყოფილება აცხადებს ყველა მუშა მოსამსახურეთ, რომ პური არც ერთს დაწესებულებას არ შესწყვეტია. პურის საცხობებში მუშათა მაგიდის ფქვილის [illegible] ცხვება საკმაო რაოდენობა პურის, როგორც გორის დაზარალებულთათვის, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთათვის. პური არ მიეცა მხოლოდ იმ დაწესებულებებს, რომლებმაც თავისი კუთვნილი პური შეიწირეს გორელებს. ეს პური განსაკუთრებული ორდერით გაიგზავნება გორში. ამათი სია ცალკე იქნება გამოქვეყნებული გაზეთებში.

— **სახელმწიფო მატარებლით** 24 თებ. გორში გაემგზავრნენ: ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ბ-ნი ოლ. უორდროპი, საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი დე-მონკანიერი, საფ. კონსული დიუ-რიუ, ბრიტანეთის მისიის მდივანი ბ-ნი [illegible], პოლონეთის წარმომადგენელი ბ. ოსტროვსკი, საფრანგეთის წარმომადგენელი სომხეთში ბ-ონი პუა-დე-ბარი, სამხედრო ატაშე საფრანგეთის მისიასთან ბ-ნი ფორე, უკრაინის წარმომადგენლის მოადგილე ტიტოკევიჩი, იტალიის მისიის წარმომადგენელი დ-რი კუკი და მაიორი კამინი, ამერიკის მისიის წარმომადგენელი მაიორი პეტანი. მათ დაათვალიერეს ქალ. გორი და სოფ. ხიდისთავის ნანგრევები.

— **მუშათა მაგიდა** წინადადებას აძლევს ყველას, ვისაც არ მიუღია შაქარი და ბრინჯი დეკემბრის ტალონით, იჩქარონ მიიღონ ასეთები ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებიდან ამ წლის 29 თებერვლამდე, რის შემდეგ დეკემბრის ტალონით მიცემა შეწყვეტილი იქნება. პირველ მარტიდან დაიწყება ახალი რაციონების დარიგება იანვრის ტალონით კოოპერატივ „აღორძინების" ყველა ლავკიდან, ქალაქის მოსამსახურეთა ეკონომიური საზოგადოებისაგან, ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოებისაგან და ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებისაგან.

— **მუშათა ცენტრალურ კლუბში** (ვორონცოვის პრ. № 123) დღეს, 26 თებ., მწერალ დავით კლდიაშვილის 40 წლის სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება საზეიმო საღამო.

კრებები

დღეს, საღამოს 6 ს. ბიუროს ბინაზე შედგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, 26 თებ., საღამ. 5 ს. ჩუღურეთის რაიონ. კოლექტ. ბინაზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. ქალთა ორგანიზაციის კოლექტივის არაჩვეულებრივი სხდომა.

— დღეს, საღ. 6 ს. დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა 5 ს. კი განახლებული სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა.

— დღეს, საღამოს 5 ს., ბიუროს ბინაზე (ბებუთოვის ქ. № 22) დანიშნულია ს. ქ. სოც. დემ. მ. პ. მე 6 რაიონული კოლექტივის ახალ შემადგენლობის წევრთა სხდომა.

— 26 თებერვალს, საღ. 5 ს., შედგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა (კახეთის ქ. № 1).

მიწის ძვრა საქართველოში

დაზარალებულია 47 სოფელი. 24 თებერვალს მთავრობის საგანგებო კომიტეტს გორის სამაზრო ერობის თავმჯდომარე ახალქალაქიდან მიუვიდა შემდეგი ტელეფონოგრამა: „ცნობები გვაქვს ჯერ-ჯერობით შემდეგი სოფლების დაზარალების შესახებ: სკრა, ხიდისთავი, ოხერა, ატენი, ხოვლე, უფლისციხე, ქასფური, ყარაჯალი, ხელთუბანი, სვენეთი, ტორტიზა, კარალეთი, მეჯვრისხევი, ბეთლემი, რუისი, ქერელი, ბებნისი, ტინის-ხიდი, ურბნისი, დიდი წმინდა, მეღვრეკისი, ოთლისა, ლეხურები, ზედა-ქოვრისი, ღოისი, ხანდაკი, შინდისი, ბერბუკი, ოთარშენი, მეტეხი, გრაკალი, სასირეთი, ბარნაბიანთ-კარი, საქაშეთი, გორა, ავლევი, ნიგვისი, რეხა, ახალსოფელი, ზემდგლეთი, შავშვები, ნაწრეთი, ახრისი, პატარა გორიჯვარი, დიდი-გორიჯვარი და ჯებირი".

— მთავრობის საგანგებო კომიტეტმა მიიღო შემდეგი დამატებითი ცნობები მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა შესახებ: მიწის ძვრის რაიონი დიდია, ხოლო ის რაიონი, რომელიც განსაკუთრებით დაზარალებულია უდრის 1 200 კვად. ვერსს. ქ. გორში ითვლებოდა 35,000 მცხოვრები. შენობები სულ ერთიანად დაქცეულია. გადარჩა რამოდენიმე შენობა, მაგრამ კედლები ისეა დახეთქილი, ზოგან ჭერი ჩამონგრეული და უნდა დაინგრეს, რომ შიგ ცხოვრება არ შეიძლება. დღემდის შეკრებილი ცნობებით, დაზარალებულია 50 სოფელი. ამათგან ოცდა ათში სახლები სულ დანგრეულია და დანარჩენ ოცში კი გადარჩა 50 პროც. სახლებისა. ეს აიხსნება იმით, რომ ამ სოფლებში მიწის ძვრა შედარებით უფრო სუსტი იყო. სოფლებში დაზარალდა 8000 კომლამდე, რაც შეადგენს დაახლოვებით 40 000 სულს. ქ. გორითურთ საერთოდ დაზარალებულთა რიცხვი უდრის 75.000 სულს. დღემდის ამოღებულია ნანგრევებიდან 200 მკვდარი. დაახლოვებით ამდენივეა მძიმედ დაშავებული. მსხვერპლის შედარებითი სიმცირე იმით აიხსნება, რომ პირველი მიწის ძვრა მოხდა ნაშუადღევის 2 საათ. და 55 წუთს; მაშინ სახლები ბევრი არ დანგრეულა. შეშინებული ხალხი გარეთ გამოცვივდა და სახლებში აღარ შესულა. მიწის ძვრა განმეორდა ნაშუაღამევს 2 საათ. 45 წუთ. და როგორც გორი, ისე დაზარალებული სოფლების უმეტესი ნაწილი დაინგრა; ღამის ძვრისაგან შეშინებული ხალხი სახლებში აღარ ყოფილა და ამიტომ გადარჩა. იმ სოფლებში, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალდნენ, საქონელი (ხარი, კამეჩი, ძროხა, ცხვარი და ღორი) 80 პროცენტამდე დახოცილია, რადგანაც გომურები შედარებით ძლიერ აშენებულია (რიყის ქვისა და ტალახისაგან) და პირველი მიწის ძვრისთანავე მთლად დაინგრა.

დუშეთი. 24 თ. მიწის ძვრამ ქსნის ხეობაში—ახალგორამდი, ოცდა თხუთმეტ და ახლო-მახლო სოფლებში, თითოეულში ხუთ-ექვსი სახლი საგრძნობლად დაზიანდა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ხალხი ახლაც შიშობს სახლებში შესვლას. ერობის თავმჯდომარე ჭანიშვილი.

ყარაღაჯი. 20 თებერვალს ღამის 8 ს. პირველ მიწის ძვრის დროს დაინგრა ნაწილი სახლებისა. მეორე დღეს საათის ორზედ დაინგრა 260-მდე სახლი. მოკვდა ორი ქალი, 10 დაშავებულია. მცხოვრებნი გარეთ ქუჩებში არიან უბინაოთ სიცივეში და დიდ გაჭირვებას განიცდიან. ხალხი დემორალიზებულია.

ს. ხოვლე. ხოვლე, რომელიც შესდგება ექვსას კომლისაგან, სულ დაინგრა. საქონელი დაიხოცა; არის ადამიანის მსხვერპლიც. ხალხს აღარა აქვს თავშესაფარი, რამოდენიმე კაცი დაჭრილ-დასახიჩრებულია, ბავშვები და დედაკაცები შეშინებულნი ცას ქვეშ იმყოფებიან.

23 თებ. გოგირდის წყალმა ამოხეთქა, რამაც ძლიერ შეაშინა ხალხი.

ხოვლედან ქ. თფილისში საცხოვრებლათ წასულთ ვთხოვთ ჩამოვიდნენ და მიხედონ თავიანთ დანგრეულ ოჯახებს.

ხოვლელი.

დახმარება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა მთავრობის საგანგებო კომიტეტი საყოველთაოთ აცხადებს, რომ დამფუძნებელ კრების წევრის ივანე გომართელის თავმჯდომარეობით დაარსდა რესპუბლიკის ცენტრალური ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობს გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ფულისა და ნივთებით შემოწირულების საქმეს მთელ რესპუბლიკაში. მისამართი: თფილისი. ანასტასიევის ქ. 21 ი. გომართელის ტელეფონი 6—33.

რესპუბლიკის ყველა ქალაქებში და ერობებში შემოწირულების შესაგროვებლად უნდა დაარსდეს ადგილობრივი კომისიები, რომლებსაც ხელმძღვანელობს აღნიშნული ცენტრალური ბიურო.

ქ. თფილისის საბჭოს დადგენილებით, თფილისში დაარსდა ქალაქის ადგილობრივი კომისია, მისამართი: თავისუფლების მოედანი ქალაქის სახლი, ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის ბინა.

— ფრონტზე წასასვლელათ გამზადებული აბაშის გვარდიელები გაეცნენ რა გორის მაზრის ტრაღედიას, ერთხმად დაადგინეს თვითეულმა გადაიხადოს ორი დღის ჯამაგირი დაზარალებულთა სასარგებლოთ. ასეთივე დადგენილება გამოიტანეს აბაშის შტაბის ყველა მოსამსახურეებმა.

— ქ. თფილისის მუნიციპალური მუშა-მოსამსახურეების კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა ამ ხანათ აღმოუჩინოს ერთდროული დახმარება გორისა და მის რაიონებში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ 10,000 მანეთით და ერთი დღის სამუშაო ქირის გადადებით. აგრეთვე აცნობებს ადგილობრივ სექციებს გაუგზავნონ ქალ. გორში თითო დღის რაციონი პური, თუ ეს მოსახერხებელი იქნება.

— ფოსტის ტელეგრაფის და ტელეფონის მოსამსახურეებმა, რიცხვით 72 კაცმა, დაადგინეს: მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ გადაიხადონ ერთი დღის ჯამაგირი.

მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშები მიიღო:

ბაქოდან—გთხოვთ მიიღოთ 200,000 მან. თქვენს განკარგულებაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად. ფულს გადმოგცემთ ჩვენი რწმუნებული პეპინოვი. ძმები სკობელევები.

— გთხოვთ მიიღოთ ჩემგან და მთავრობისაგან ღრმა თანაგრძნობა იმ უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს მცხოვრებთ მიწის ძვრის გამო. მთავრობის თავმჯდომარე უსუბეკოვი.

სოხუმიდან. სხდომის დროს ქალაქის საბჭომ მიიღო ტრაღიკული ცნობა გორის და მისი თვითმართველობის განადგურების შესახებ. ქალაქის საბჭო დამწუხრებული ამ უბედურებით, თანაუგრძნობს მთელი ქართველი ხალხის მწუხარებას. მცხოვრებთა დასახმარებლათ გადადებულ იქნა 25 000 მანეთი. მიღებულია ზომები შემოწირულებების შესაკრებად და დასახმარებლათ.

გორგოძე-შვილი, ნადირიშვილი

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ რედაქციამ მიიღო: ქ ნ. ყიფიანისაგან 100 მ, ვ. ხუნწკარიასაგან 100 მ, დ. არუთინოვისაგან ამხ. შეგროვილი 500 მ., ქალ. დოლიძე, გოლიაძე და დეკელისაგან 1000 მ, თ. და ს. გოდიაძეებისაგან თავის ძმის ხსოვნის აღსანიშნავათ 500 მ, სპარსეთის ს. და მ. პარტიისაგან 1400 მ., [illegible] ამხ. შეგროვილი 5450 მან., თფ. ოფიციანტების პროფ. კავშირისაგან 10,000 მ. სულ: 19,050 მ

გუშინ იყო: . . . . . 17,770 მ

დღეს მივიღეთ . . . . 19,050 მ.

სულ: . . . . 36,820 მ.

ქალაქის საბჭო

23 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. ლომთათიძე.

წარსული სხდომის ჟურნალში დადგენილება ახალი მომატებების შესახებ სოც.-დემოკრატიულ ფრაქციას შეაქვს შესწორება: ახალი ჯამაგირების დარიგების დროს თუ რაიმე გაუგებრობას ექნება ადგილი—თუ 1800 მანეთზე მეტის მომატება საჭირო შეიქნეს—მაშინ [illegible] გამგეობის თავისი გადაწყვეტილება იმ საკითხს და შემდეგ მოახსენოს საბჭოს სხდომას. 2) ახალი ჯამაგირების მომატებები გავრცელდეს იმ მოსამსახურეებზე, რომლებიც დღეს მსახურობენ ქალაქის თვითმმართველობაში. ეს შესწორებები სხდომამ ერთხმად მიიღო.

ამის შემდეგ ქალაქის მოურავი მოხსენებას აკეთებს მიწის ძვრისაგან მომხდარ უბედურების შესახებ და მოახსენებს საბჭოს, თუ რა გააკეთა გამგეობამ საბჭოს დაუკითხავათ დაზარალებულთა დასახმარებლად.

შემდეგ ის ამბობს თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად დახმარების საქმე და აღნიშნავს, რომ სანამ დამფ. კრების კომისია მოხსენებას წარუდგენდა მთავრობას, ფინანსთა მინისტრმა უკვე შეადგინა კომიტეტი იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით. აქ არის მოწვეული ქალაქის გამგეობის წარმომადგენელიც.

დამფუძნებელ კრების მიერ არჩეული კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს ივ. გომართელი აძლევს დირექტივებს ყველა სხვა ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან ამ საქმით.

ასეთი დადგენილება გვაქვს ჩვენ მიღებული მთავრობის კომიტეტისაგან; აქედან ცხადია, რომ თფილისში უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც შეაგროვებს შემოწირულებებს და კომიტეტის განკარგულებაში გადასცემს.

ასეთი ორგანო უნდა შექმნას საბჭომ. კომისიას უფლება უნდა ჰქონდეს კოოპტაციის საშუალებით მოიწვიოს საჭირო პირი და მიიღოს შემოწირულებები.

შემოწირულება უნდა იქნას პერიოდული და ერთდროული ყველასაგან განურჩევლად, ჯამაგირიდან გამოკლებით თუ სხვა საშუალებებით. შეგროვილ უნდა იქნას ყველაფერი ფული, ტანისამოსი, სანოვაგე და სხვა ნივთები.

ეს არის კომისიის მიერ ნაკარნახევი გზა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს იმ კომისიამ, რომელსაც საბჭო აირჩევს.

გამგეობას საჭიროდ მიაჩნია დაზარალებულთა სასარგებლოთ თავის სახსრებიდან გაიღოს 2 მილიონი მანეთი. ეს იქნება ძალიან ცოტა, მაგრამ [illegible] ქალაქს არა აქვს მეტი საშუალება, ამიტომ იძულებული ვართ ამით განვსაზღვროთ ჩვენი დახმარება.

საბჭომ მიიღო დაარსდეს „საქართველოში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის დამხმარე კომისია". კომისიაში შედიან ვ. ხახანაშვილი, არ. ჯაჯანაშვილი, დავ. კალანდაძე, დავ. ფაჩნაძე და თ. ქიქაძე. კომისიის თავმჯდომარე იქნება ქალაქის მოურავი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარეთ ხელახლა არჩეულ იქნა ამხ. ლომთათიძე, მის ამხანაგათ ამხ. მდივანი.

შემდეგ ქალაქის მოურავი მოახსენებს საბჭოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადებას ქალაქის ზედმეტ ელემენტებისაგან გაწმენდის დადგენილების გამოქვეყნების შესახებ. მოურავის სიტყვით გამგეობა ფიქრობს, რომ ამ დადგენილების გამოქვეყნებით ქალაქი არაფერს დაკარგავს.

[illegible] აუცილებლად მიაჩნია დადგენილების გამოქვეყნება.

დავ. ფაჩნაძე ეკითხება გამგეობას: არის თუ არა საზღვრები დაკეტილი და იქნება თუ არა ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ ქალაქი დაცული უცხო ელემენტების შემოსვლისაგან.

პ. ქიქაძე განმარტავს, რომ საზღვრები დაკეტილია და ასე დარჩება შემდეგშიაც. მხოლოდ შესაძლებელია ცოტა რამ შეიცვალოს: შემოსვლის უფლება ექნებათ საქართველოს მოქალაქეებს; უცხო ელემენტები შემოვლენ განსაკუთრებული მოწმობებით. სომხეთთან და აზერბეიჯანთან გვექნება მისვლა-მოსვლა. ეს არ ნიშნავს საზღვრების ფართოთ გახსნას.

სხდომამ ერთხმათ მიიღო გამგეობის მოხსენება.

საბჭომ დააკმაყოფილა მუსულმანთა შუამდგომლობა მუსულმან სკოლების სახელმძღვანელოების შესახებ.

გადიდებულ იქნა აბანოს ფასები: საერთო—10 მან. ბავშვების—5 მ. [illegible]—15 მ. [illegible] ნომერში—20 მ. ნომრები—30, 36 და 40 მ.

მიღებულ იქნა გამგეობის მოხსენება კუკიის და ორთაჭალის საძოვარი მიწების ექსპლოატაციის შესახებ. გადადებულ იქნა ყოველ წლიურად 120,000 მანეთი და ერთი დროულად 60,000 მანეთი.

დასასრულ გამგეობას უფლება მიეცა შრომისა და სოციალური დახმარების სპეციალურ თანხიდან 50,000 მანეთი დახარჯოს სხვა და სხვა ორგანიზაციებში მოთავსებულ ბავშვების შესანახად.

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

1920 წ ჯარში გასაწვევ სიებში შესატან ახალგაზრდა მოქალაქეთა საყურადღებოთ.

საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქენი, მცხოვრებნი ქ. თფილისში, გარდა მაჰმადიანებისა, დაბადებულნი 1900 წელში, უნდა იყვნენ ჯარში გაწვეულნი 1920 წ. 15 ნოემბრიდან. მთავრობის ახალი განკარგულებით ხსენებულ პირთა მიერ გასაწვევ სიებს შეადგენენ ქ თფილისში უბნის კომისარიატები. გასაწვევი სიების შედგენა უნდა დამთავრდეს ამა წლის მარტის 15-ს. ამიტომ თფილისის ყველა მკვიდრი მოქალაქე, დაბადებული 1900 წელს, მოვალეა [illegible] მარტის 1—დან 15—მდის გამოცხადდეს თავის უბნის კომისარიატში, რათა აიცდინოს თავიდან კანონიერი პასუხისგება და სიაში შესატანათ განცხადებასთან ერთად წარუდგინოს თავისი დაბადების და აგრეთვე მამის და ძმების დაბადების მეტრიკული მოწმობები ანუ სხვა წლოვანობის დამამტკიცებელი კანონიერი საბუთები.

განცხადებაში უნდა იყოს მოხსენებული ნამდვილი ცნობები ოჯახის შემადგენლობისა (მამა ან მამინაცვალი, დედა ან დედინაცვალი, ყველა ძმები განურჩევლად იმისა ცხოვრობენ მამის ოჯახში თუ ცალკე ან თუ უკვალოდ არიან დაკარგულნი, [illegible]). მამისა და ძმების წლოვანობა უნდა იყოს აღნიშნული დოკუმენტებით (წლოვანება, თვე და რიცხვი დაბადებისა).

საცხოვრებელ ადგილის მიხედვით შეიძლება შეტანილ იქნენ თფილისის უბნების გასაწვევ სიებში რესპუბლიკის სხვა მაზრების და ქალაქების მხოლოდ ის ახალგაზრდა მოქალაქენი, რომლებიც განცხადებასთან ერთად ამა წლის 1 მარტამდე წარუდგენენ თავის უბნის კომისარიატს მოწმობას იმის შესახებ, რომ ისინი თავის სამსახურის ან სწავლის მიხედვით ცხოვრობენ ქ. თფილისში არა ნაკლებ სამი თვისა.

ის ჯარში გასაწვევი [illegible] რომელიც ოჯახის მდგომარეობის მიხედვით არის ნამდვილი ერთად ერთი მარჩენალი ოჯახისა, თანახმად 1919 წ. 20 მაისის კანონისა, მოვალეა ეხლავე და არა უგვიანეს ა. წ. 15 ნოემბრისა აიღოს სათანადო მოწმობა თფილისის ქალაქის გამგეობიდან, იგი თუ ქალაქის მკვიდრი მცხოვრებია და თავისი სამაზრო ერობის გამგეობისაგან, თუ იგი მცხოვრებია სხვა მაზრისა ან ქალაქისა, ხოლო თფილისის უბნის გასაწვევ სიაში კი არის შეტანილი. ეს მოწმობები უნდა წარუდგინოს ადგილობრივ სამხედრო ნაწილის უფროსს ამა წლის მაისის 1 დან და არა უგვიანეს 15 ნოემბრისა, რათა მოხოვნილთ არ დაკარგონ უფლება ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლებისა.

უცხოეთი

რუსეთი.

სამხრეთ-რუსეთის მთავრობა. გენ. დენიკინმა სამხრეთ-რუსეთის მთავრობის შესადგენად შემდეგი დებულებები წამოაყენა: 1) სამხრეთ-რუსეთის მთავრობამ უნდა იარსებოს სრულიად რუსეთის დამფ. კრების მოწვევამდე; 2) მთავრობის პირველ თავმჯდომარეთ გენ—ლეიტ. დენიკინი იქნება; 3) კანონს, თავმჯდომარის უფლების მემკვიდრეობის შესახებ, იმუშავებს საკანონმდებლო პალატა საერთო წესების მიხედვით; 4) კანონებს საკანონმდებლო პალატა იმუშავებს; 5) აღმასრულებელ ძალის უფლება აქვს, გარდა თავმჯდომარისა, მინისტრთა საბჭოს, რომელიც საკანონმდებლო პალატის წინაშე პასუხისმგებელია; 6) მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარე; იგივე ამტკიცებს საბჭოს წევრებს მის შემდეგ, რაც ისინი წარდგენილი იქნებიან საბჭოს თავმჯდომარის მიერ; 7) მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს დაითხოვოს საკანონმდებლო პალატა; მასვე აქვს შეჩერებითი „ვეტო"-ს უფლება.

გაზ. „რუსსკოე ვრემია" (13 თებერვ.) იტყობინება, რომ უმაღლეს „კრუგს" და დენიკინს შორის მოხდა სრული შეთანხმება. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთ დანიშნულია მელნიკოვი, რომელსაც დაევალა მოაწყოს მინისტრთა საბჭო. უმაღლეს „კრუგის" სხდომაზე თერგის ოლქის წარმომადგენელმა—ბასკანოვმა, დონის წარმომადგენელმა—ვინოგრადოვმა და ყუბანისამ—რიაბცევმა განაცხადეს, რომ ისინი სავსებით ეთანხმებიან დენიკინის მიერ წამოყენებულ დებულებებს.

საგარეო ვაჭრობისათვის [illegible] და მოკავშირეებს შორის გაზ. „ტაიმსი" (25 იანვ.), სხვათა შორის, შემდეგს სწერს: რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ეს ბევრს ჰგონია; ზოგიერთი ინგლისურ-ფრანგული გაზეთები იძახიან აუწყებენ ქვეყანას, რომ ვაჭრობა რუსეთთან უკვე დაიწყო, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება. დიდძალი მედიკამენტები იქნა შეტანილი რუსეთში ფინლიანდიის საზღვრებიდან, მაგრამ ეს საქონელი საბჭოთა მთავრობამ ვერ მიიღო, რადგანაც მან ვერ შესძლო სამაგიეროთ მიეცა ხორბალი. რუს გლეხებს აქვთ ხორბალი, მაგრამ მათ არ სურთ იგი ფასის მისცენ. გაზეთის აზრით, საჭიროა აღდგენილ იქნეს რუსეთში რკინის გზები, გამოიგზავნოს ვაგონები. შეიქმნას მთავრობა, რომელიც აღჭურვილი იქნება გლეხობის ნდობით და სხვ., რომ ვაჭრობა დაყენებულ იქნეს რეალურ საფუძველზე.

ამერიკა.

კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. გაზ. „ვენეტის" ცნობით ამერიკის შრომის სამინისტრომ თხოვნით მიმართა კონგრესს, რათა გადადებულ იქნას 1 მილიონი დოლარი, რომელიც უცხოელ კომუნისტების შესახებ კანონის ცხოვრებაში გასატარებლათ საჭიროა. ამასთანავე გადადებულ უნდა იქნას 150 ათ. დოლარი კომუნისტების შეერთებულ შტატების საზღვრებიდან გასაძევებლად საჭირო ხარჯების დასაფარავად.

დახმარება ევროპას. ამერიკის ხაზინის მდივანმა განაცხადა, რომ საჭიროა გადადებულ იქნას 150 მილ. დოლარი, რათა შიმშილობას აცილდეს ავსტრია, პოლონეთი და სომხეთი. ამავე მიზნის განსახორციელებლად პრეზიდენტმა ვილსონმა განსაკუთრებული წერილით მიმართა პარლამენტის პარტიების ლიდერებს.

აფრიკა.

აფრიკის მუსულმანები. გაზეთი „ტანის" გადმოცემით ჩრდილოეთ აფრიკის მუსულმანებმა მიმართეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს წერილით, სადაც დაწვრილებით გაშუქებულია მათი შეხედულება ოსმალეთის და აღმოსავლეთის საკითხებზე.

მუსულმანები კატეგორიულად მოით-

თხოვენ სტამბოლის ოსმალეთის ხელში დარჩეს. სთვლიან რა სტამბოლს მთელი ქვეყნის მუსულმანების რელიგიურ ცენტრად და აცხადებენ მას რა რომ, ინდოეთის მუსულმანები იმუქრებიან, რომ თუ მუსულმანების სამართლიანი მოთხოვნილებანი არ იქნება დაკმაყოფილებული, ამას ცუდი შედეგები მოყვება მოკავშირეებისათვის.

საფრანგეთი.

შრომის კონფედერაციაში. პარიზის გაზეთები სწერენ: საყოველთაო შრომის კონფედერაციაში დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა შრომის ეკონომიურ საბჭოს შესახებ. კამათის დროს ორატორები შეეხენ კონფედერაციის საერთო ხაზს. უმცირესობის წარმომადგენელნი ჰკიცხავენ ხელმძღვანელ ორგანოებს უმთავრეს ნაწილათ იმიტომ, რომ კონფედერაციაში ხშირად ისეთი ელემენტები არიან, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ პროფესიონალურ მოძრაობასთან; ასეთია, მათის აზრით, მაგ. სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახ. ფედერაცია. საპასუხო სიტყვაში უმრავლესობის წარმომადგენელმა ჟუომ, სხვათა შორის, განაცხადა: „დარწმუნებული ხართ თქვენ გულწრფელად, რომ ჩვენ საკმაოთ შეიარაღებულნი ვართ, რომ ჩვენ მოვიპოვოთ საჭირო ცვლილე? ამ კითხვის დაყენება მასზე პასუხის გაცემასაც ნიშნავს". ჟუო ამბობს, რომ არ არის საკმაო მარტო იდეალური მსოფლმხედველობა; საჭიროა პრაქტიკული და მეცნიერული ცოდნა, რათა მუშათა კლასი პროგრესს დაადგეს. 104 ხმით 18-ის წინააღმდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ეკონომიურ საბჭოს არსებულ კონსტიტუციას. შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელიც იწონებს საფრანგეთის მუშათა კლასის დელეგაციის ტაქტიკას ვაშინგტონის შრომის კონფერენციაზე.

გაზ. „ავანტი"-ს გავრცელების აკრძალვა. საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა იტალიურ გაზ. „ავანტის" გავრცელება საფრანგეთში. ამის შესახებ შეკითხვა შეიტანა სოც. დეპუტატმა ლეონ ბლიუმმა. საგარეო საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ „ავანტი" რეაქციონერათ სთვლის საფრანგეთის წესწყობილებას და სისტემატიურ მოძღვრებას აწარმოებს მის წინააღმდეგ; ამასთანავე გაზეთი არ ფარავს გერმანიისადმი თავის სიმპატიას. ამიტომ სამინისტრო საჭიროთ სთვლის, საფრანგეთში ამ გაზეთის აკრძალვას, რათა ამ გზით, სხვათა შორის, დაცულ იქნეს საფრანგეთში მყოფი იტალიელი მუშები „ვამბრწუნელ იდეებისაგან".

გერმანია.

საქარხნო საბჭოები საქარხნო საბჭოების შესახებ კანონის გარჩევის დროს ნაციონალურ კრებაში დამოუკიდებლები მეტად ობსტრუქციას აწყობდენ. ამის გამო 16 იანვრის სხდომამ, რომელზედაც საბოლოოთ იქნა მიღებული აღნიშნული კანონი, 13 საათი გასტანა. კანონის წინააღმდეგ ხმა მისცეს მემარჯვენეებმა და დამოუკიდებლებმა.

სომხეთი.

ოსმალეთის საკითხის გარშემო. ლონდონში არსებული სომხეთის დიპლომატიური მისია იტყობინება: რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ 12 თებერვალს მოკავშირეთა შორის მოხდა საბოლოო შეთანხმება ოსმალეთის სომხეთის შესახებ. სომხეთი დამოუკიდებელია; მისი საზღვრები მალე გამოირკვევა. სმირნა საბერძნეთს გადაეცემა; სულთანი კონსტანტინოპოლში დარჩება, სრუტეები კი მოკავშირეთა გამგებლობაში გადადის.

პოლოს ნუბარი კოალიციის შესახებ. პოლოს ნუბარი პარიზიდან იტყობინება, რომ იგი თანახმაა, რათა სომხეთში მთავრობა კოალიციურ პრინციპზე მოეწყოს.

ადერბეიჯანი.

„იტტიხადის" განცხადება. „იტტიხადის" საპარლამენტო ფრაქციამ შემდეგი განცხადებით მიმართა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს: იღებდა რა მხედველობაში სახელმწიფოებრივ ინტერესებს, „იტტიხადის" პარტიამ ერთი თვის წინათ გადაწყვიტა მთავრობაში თავისი ორი წარმომადგენელი ამ პირობით, რომ დაცული იქნებოდა კოალიცია ყველა მუსულმან პარტიებისა და შინაგან საქმეთა სამინისტრო მ. გ. გაჯინსკის ჩაებარებოდა. ვინაიდან უკანასკნელი იძულებული შეიქნა წასულიყო თავის პოსტიდან და ამ რიგათ უკვე დაირღვა შეთანხმების პირობები, რაც საფუძვლათ ედო კაბინეტის შედგენას და ვინაიდან შემდეგ არ მოხერხდა ფრაქციათა შორის შეთანხმება,—„იტტიხადის" პარტიამ გადაწყვიტა გაიწვიოს მთავრობიდან თავისი წარმომადგენლები.

დაღესტანი.

დერბენტის დაპყრობა მთიელების მიერ. 5 თებერვალს მთიელებმა ცხარე ბრძოლის შემდეგ დაიპყრეს სამი მეოთხედი ნაწილი ქ. დერბენტისა. „მოხალისებმა" ჯარები დაუგრიალეს სადგურთან და ყუმბარები დაუშინეს ქალაქს გემებიდან. მთიელებს ზარბაზნების ყუმბარები შემოაკლდათ და იძულებული გახდნენ ქალაქი დაეტოვებინათ. ამ ბრძოლაში დაიღუპნენ ოფიცრები: ხაბუძე, ტატიშვილი, ტატარიოვი. მოკლულია აგრეთვე მოწყალების დაი გორბაჩოვა.

ხალილოვის და მისი ამხანაგების მონანიება. მთიელთა რესპუბლიკის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე შეიხ-ულ-ისლამ ალი-ჰაჯიმ მიიღო დაღესტნის ოფიცრების და ბეგებისაგან მონანიების წერილი. წერილზე სხვათა შორის ხელი უწერია გენერალ ხალილოვს. წერილის ავტორები ითხოვენ აპატიონ მათ წარსული ცოდვები და აცხადებენ, რომ მზად არიან მთელი თავისი ძალღონით შეებრძოლონ დენიკინს და მის ჯარს მთიელთა რესპუბლიკის გასანთავისუფლებლათ.

ინგლისი.

„ტაიმსი" ოსმალეთის საკითხის შესახებ. გაზ. „ტაიმსი" მოწინავე წერილში, სხვათა შორის, შემდეგს სწერს: ინგლისს ეგონა, რომ ოსმალეთის სახით იშოვიდა საიმედო მოკავშირეს რუსეთის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ დღეს გამოირკვა, რომ იგი სდგას ორ მძლავრ სახელმწიფოების—რუსეთისა და ოსმალეთის კავშირის წინაშე. მიუხედავათ ამისა, გაზეთის ცნობების თანახმად მინისტრთა საბჭოში აღმოსავლეთის საკითხის შესახებ დიდი უთანხმოებაა. უმთავრეს ნაწილათ უთანხმოება იმ საკითხს შეეხება—დატოვონ კონსტანტინეპოლი ოსმალეთს, თუ არა. გაზეთის აზრით კი უფრო საინტერესოა და საშიში არა ამ საკითხის გადაწყვეტა, არამედ—ზომების გამონახვა, რათა არ მოხდეს მოსალოდნელი დაახლოვება რუსეთ ოსმალეთს შორის, რაც დიდი საფრთხე იქნება ინგლისის გავლენისათვის ახლო-აღმოსავლეთში. გაზეთი წერილს ასე ათავებს: ომი რუსეთში არ გათავებულა და არც უნდა გათავდეს.

ერობათა ცხოვრება

გურიის ერობაში.

17 თებერვალს, ოზურგეთში შესდგა ოზურგეთის მაზრის თემთა წარმომადგენლების ყრილობა დაესწრნენ წარმომადგენლები მაზრაში არსებულ თემთა უმრავლესობიდან საბჭოსა და გამგეობის თავმჯდომარეებისა და გამგეობის წევრი მდივნების სახით, დაახლოვებით 70 კაცი.

ყრილობას დაესწრო აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ნ. რამიშვილი, რომელსაც ყრილობა მხურვალე ტაშით შეხვდა.

ყრილობა გახსნა სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ს. ქინტურიშვილმა მოკლე მისასალმებელი სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა რა დიდი მნიშვნელობა თემთა მუშაობა-მოღვაწეობისა რევოლიუციით მონაპოვართა შენარჩუნება - განმტკიცების საქმეში, განმარტა მიზანი ყრილობისა და იმედი გამოსთქვა, რომ ყრილობა შეძლებს არსებული პირობების მიხედვით გადასჭრას დღის წესრიგში დასმული საკითხები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ერობის დებულების შემუშავების დროს და აგრეთვე გააცნოს ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრს სოფლის ვითარება-საჭიროებანი.

ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეული იქნა სამაზრო ერობის თავმჯდომარე ბ-ნი ს. ქინტურიშვილი.

ადგილებიდან მოხსენებათა მოსმენამდე ყრილობას მიესალმა შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ნ. რამიშვილი, რომელმაც აღნიშნა რა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, განმარტა თემების მოვალეობა, მათი უდიდესი მნიშვნელობა, არსებულ პირობებში და უკანასკნელათ აღუთქვა თემებს ყოველმხრივი დახმარება მთავრობის მხრივ ყრილობა ტაშის ცემით შეეგება მინისტრის მისალმებას.

მოხსენებიდან საერთოდ გამოირკვა, რომ თემების ფინანსიური მდგომარეობა უნუგეშოა, მათ არ აქვთ არავითარი სახსარი გარდა ხალხის დაბეგვრისა, რაც ხშირათ უკმაყოფილებას იწვევს ხალხში.

ადგილებიდან მოხსენების დროს ერობის გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი ს. ქინტურიშვილი აძლევდა ზოგიერთ მომხსენებლებს საჭირო ახსნა-განმარტებას ყველა იმ საკითხებზე, რომლებსაც ისინი აყენებდნენ გამგეობის საყურადღებოთ.

თემის სამეურნეო ფულების შესახებ ყრილობამ უყოყმანოდ და ერთხმად გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „რადგან თემი არის რესპუბლიკის ძირითადი თვითმართველი ერთეული და რადგანაც ამ ძირითადი ერთეულის რესპუბლიკის ნამდვილ საძირკვლათ გადაქცევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მას მიეცემა მისი უფლება-მოვალეობების განმახორციელებელი ფინანსიური საშუალებანი, ხოლო ეს კი შესაძლებელია თვით დაბეგვრის საშუალებით, თემთა წარმომადგენლების ყრილობა: მიეცეს თემს თვით-დაბეგვრის უფლება იმ პირობით, რომ მისგან შედგენილ ხარჯთ აღრიცხვას წინასწარ იხილავდეს და ამტკიცებდეს სამაზრო ერობა, როგორც კანონიერების ისე მიზან შეწონილების მხრივ."

მეორე საკითხის—ერობის საფეხურების შესახებ ყრილობა ერთხმად დებულობს:

ჩვენს ერობას უნდა ქონდეს ორი საფეხური თემი და სამაზრო ერობა რამდენიმე სოფლიდან შემდგარი. თემის გამგეობა საჭიროების მიხედვით გაიჩენს სოფელში თავის რწმუნებულს თავის განკარგულებათა ცხოვრებაში გასატარებლათ."

თემის ორგანიზაციის—შესახებ ყრილობა დებულობს შემდეგ დადგენილებას:

„თემი შესდგება ორი ორგანოსაგან: თემის საბჭო განმკარგულებელი ფუნქციებით და მისი აღმასრულებელი ორგანო—თემის გამგეობა. საბჭოს და თემის გამგეობას ყავთ თავმჯდომარეები."

ნატურალური ბეგარის შესახებ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „რადგანაც ყოვლად შეუძლებელია, რომ თემმა ფულზე გაუკეთოს გზები და ხიდები, აშენოს ქოხები, ამაგროს წყლის ნაპირები და სხ., ამიტომ თემთა ყრილობა ერთათ ერთ მიზან-შეწონილ ზომათ აღიარებს, სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობის დადგენილებით მაზრის ფარგლებში და თემის საბჭოს დადგენილებით თემის ფარგლებში."

გზის მიმართულების დამტკიცება შედის სამაზრო ერობის გამგეობის კომპეტენციაში. სხვადასხვა კულტურულ მიზნის შესრულებისათვის ხის მასალები სასურველია უფასოთ დაეთმოს თემებს სახელმწიფო ტყიდან, რაც ხელს შეუწყობს მოკლე დროში ყველა თემებში აგებას სახალხო სახლისა, აბანოებისა და სხვა საჭირო საზოგადო დაწესებულებებისა.

საკითხმა თემის მილიციის შესახებ გამოიწვია დიდი კამათი: ზოგიერთი წარმომადგენლები მოითხოვდნენ თემის მილიციის შტატის გადიდებას იმდენად, რომ თემში იყოს იმდენი მილიციონერი, რამდენიც სოფელი შედის თემში. უკანასკნელათ ყრილობამ დაადგინა: „თემს უნდა ყავდეს არა ნაკლები სამი მილიციონერისა, ერთი მილიციის უფროსით."

უკანასკნელათ ბ-ნი ს. ქინტურიშვილი სთხოვს ყრილობას მოაწოდონ ყოველ გვარი ცნობები თემის ცხოვრებიდან, საბჭოსა და გამგეობის დადგენილებანი ერობის გაზეთ „გურიის ერობის მოამბეს" და აგრეთვე ხელი შეუწყონ მის გავრცელებას.

ხუხეინ.

ბათუმი

საქალაქო არჩევნები

ქალაქის ხმოსანთა არჩევნების სიას ამ დღეებში კიდევ დაემატა 217 კაცი. მათ შორის ქართველი 166. სულ სიაში შეტანილია 13,717 ამომრჩეველი.

— ამ დღეებში ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი გამოაცხადებს შემდეგ დადგენილებას: 1) ბათუმის ქალაქის საბჭოს რწმუნებულება განისაზღვრება ორი წლით 1 მარტიდან ამა 1920 წ. 1922 წლის 1 მარტამდე; 2) ქალაქის საბჭოს სხდომაზე თავმჯდომარეობს ქალაქის თავი, თუ ის სხდომას ვერ დაესწრო, მაშინ—მისი მოადგილე. საბჭო მდივანს აირჩევს საბჭო ორი წლით. შენიშვნა. ქალაქის თავის მოადგილეთ საბჭო ირჩევს ერთ-ერთ წევრს გამგეობისას; 3) ბათუმის ქალაქის გამგეობა შესდგება ქალაქის თავის და ოთხი წევრისაგან, რომელნიც არჩეულ უნდა იქნან საბჭოს მიერ ორი წლის ვადით. გამგეობის სხდომებზე თავმჯდომარეობს ქალაქის თავი. შენიშვნა. როცა ქალაქის თავი არ არის, მას მოვალეობებს ასრულებს მისი მოადგილე; 4) ქალაქის თვითმართველობაში არჩეული პირნი თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დამტკიცებულ იქნებიან თავის თანამდებობაზე ბათუმის სამხედრო გუბერნატორის მიერ; 5) ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს ბათუმის საოლქო თვითმართველობაში ყავს თავისი წარმომადგენელი, რომელიც საჭირო დროს მონაწილეობას იღებს გამგეობისა და საბჭოს სხდომაზე. 6) ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი შეაჩერებს საბჭოს დადგენილებებს იმ შემთხვევაში, თუ დაინახავს, რომ: 1) თუ დადგენილება არ ეთანხმება კანონს, ან და არ შეადგენს ქალაქის საბჭოს კომპეტენციას, ან და არ იყო სასარგებლო საზოგადოებისათვის, ან და ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს არღვევდა.

— 19 თებერვალს გათავდა ვადა ამომრჩეველთა სიის შედგენისა. 19—21 წარდგენილ უნდა იქნას ხმოსანთა საკანდიდატო სია. ყველა ეროვნება არჩევნებში საკუთარი სიით გამოდის.

მოხდა შეთანხმება ქართველ ამომრჩევლებისა და სხ.-დასხ. ჯგუფებისა. შემუშავებულია და წარდგენილია სია სახმოსნო კანდიდატებისა: დემოკრატიული ბლოკი ქართველ ამომრჩევლებისა. ამ სახელით წარდგენილ სიაში მოთავსებულია ყველა ჯგუფების და ქართველ მაჰმადიანთა მიერ დასახელებული კანდიდატები.

— ყველა ამომრჩეველს უნდა ქონდეს საარჩევნო ბარათი, რომელშიაც ჩაწერილი იქნება ამომრჩევლის სახელი, მამის სახელი და გვარი. ვისაც ასეთი ბარათი არ ექნება, ის არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ასეთი ბარათი ამომრჩეველმა თითონ უნდა მიიღოს ქალაქის თვითმართველობაში.

ყველა ამომრჩეველი 21 თებერვლიდან უნდა გამოცხადდეს პირადათ ქალაქის თვითმართველობაში ასეთი ბარათის მისაღებათ.

ფოსტა-ტელეგრაფში

ბორჯომი. ბორჯომ-ბაკურიანის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებების მოსამსახურეთა საერთო კრებამ 10 თებერვალს მოისმინა რა ხაშურის რაიონულ გამგეობის წევრის შ. შელიას მოხსენება ცენტრალურ გამგეობის მოქმედება-მოღვაწეობაზე და მიიღო რა მხედველობაში, რომ არსებული ცენტრალური გამგეობა შესდგება მხოლოდ ს.-ფედერალისტებისაგან, რომელიც ასცდა თავის პირდაპირ დანიშნულებას და მთელი თავისი მოქმედება და ძალღონე მოანდომა ფოსტა ტელეგრაფის სამართველოს ადმინისტრაციის და სოც.-დემოკრატიის პარტიასთან პარტიულ ნიადაგზე კინკლაობას, რითაც დიდი ზიანი მიაყენა ფ. ტ. დემოკრატიას, დაუკარგა უკვე მოპოვებული უფლებები, გამოყო რესპუბლიკის დემოკრატიისაგან და ააცდინა საერთო გზას, დაადგინა: გამოეცხადოს უნდობლობა ცენტრალურ გამგეობას და მოწვეულ იქნეს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ყრილობა გამგეობის წევრთა ხელახალი არჩევნებისათვის.

კრების მდივანი ა. ტაბატაძე.

ს.-დ. პარტიაში

ბორჯომი. 12 თებერვალს შესდგა ბორჯომის რაიონის ს. ს. დ. მ. პ. კოლექტივის კრება, ამხ. კ. შახნაზაროვის თავმჯდომარეობით. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) მოხსენება პრეზიდიუმიდან, 3) მოხსენება გორის სამაზრო კომიტეტიდან, 4) საკონტროლო კომისიის დაარსება, 5) ქვე კოლექტივების დაარსება ზოგიერთ ალაგებში.

რკინის გზის იაჩეიკიდან მოხსენებას აკეთებს ბ. მაჭავარიანი, ის აღნიშნავს ქ. ბორჯომის თვითმართველობის უყურადღებობას სისუფთავის მხრივ მუშათა უბანში. პრეზიდიუმიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. შახნაზაროვი. მოხსენება მიღებული იქნა. გორის სამაზრო კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. კოტაშაძე. საკონტროლო კომისიის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ მთელი ორგანიზაციები გამოკვლეულ დაუკითხათ მოიწყოს, ამისთვის საჭიროა იქნეს ამორჩეული საკონტროლო კომისია, რომელშიაც შედიან შემდეგი პირები: 1) ს. კოტაშაძე, 2) ვ. მაჭავარიანი, 3) გ. ღლონტი. ქვე კოლექტივების დაარსების შესახებ კრებამ დაადგინა დაარსდეს შემდეგ ადგილებში: 1) ბაკურიანში, 2) წაღვერში, 3) და ახალდაბაში. ამის ტეხნიკური მოწყობა დაევალოს ამხ. ვ. შენგელიას განცხადებისა დაევალოს ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციებს მოაწყონ საღამოს კურსები და საკვირაო სკოლები მოზრდილთათვის.

კ. დინჯაძე.

მუშათა შორის

ფოთი. აჭარის ხე-ტყის ქარხნების მუშების მდგომარეობა მეტის მეტად ცუდს პირობებშია. მათი დღიური ჯამაგირები ვერ აკმაყოფილებს მათს აუცილებელს მოთხოვნილებებს მესამედსაც. ამას ზედ ერთვის ხშირი შეწყვეტა ქარხნების უხეირობის გამო. მართალია, დაჰპირდნენ, წარმოებას არ შევაჩერებთო, მაგრამ დაპირება, დაპირებათ დარჩა ქარხნებმა იწყეს შეჩერება და მუშები ულუკმა პუროთ არიან დარჩენილნი. ჯერ ლანჩხუთის ქარხანა გაჩერდა და ახლა აქაც მოსალოდნელია. ამას გარდა, მუშები მოელოდენ პირველი იანვრიდან პროცენტების მომატებას სატარიფო პალატის მიერ, რომელიც უკვე განხორციელდა თითქმის ყველა დარგებში, გარდა ხე-ტყის ქარხნებისა. ამ დარგში კი ჯერაც არ ვიცით რაშია საქმე. მართალია, ავანსის სახით მუშებმა მიიღეს პირველი იანვრიდან, მაგრამ მწარმოებლები ამას უკან ითხოვენ. მიზეზათ ასახელებენ, ჩვენ არავითარი ცნობა არ მიგვიღიაო. სატარიფო პალატა მოვალე იყო მწარმოებლებისათვის ოფიციალურათ ეცნობებინა ჯამაგირების მომატების შესახებ. მწარმოებლებმა საქონელს უკვე მოუმატეს ფასები და მუშებს კი არ აძლევენ ჯამაგირს ახალი ტარიფით. გადის ორი თვე და ჯერ არავითარი განკარგულება არ არის, რაც დიდს არეულ-დარევას იწვევს მუშებში და ყველანი უკმაყოფილონი არიან. მუშები აქ დიდს თავდაჭერილობას იჩენდენ დღემდის და თუ არ მოეღო ბოლო ამ საგანზედ დავას, არ ვიცი როგორი წავა საქმე. ამიტომ საჭიროა ძლიერი დაჩქარებით, სანამ რაიმე არევ დარევა მოხდებოდეს, იქნას დაკანონებული ეს პროცენტები და მიეწეროს ოფიციალურათ მწარმოებლებს ვისაც ჯერ არის. და ბ. მწარმოებლებს კი მოვაგონებ (რასაკვირველია, ისეთებს, რომლებიც ამღვრევენ წყალს) მიაქციონ თავიანთ ქარხნებს ყურადღება, ნუ ჩაერევიან მუშების საკუთარ საქმეში. მათ მხოლოდ მოსთხოვონ მუშებს ის, რაც კანონიერათ არის აღიარებული. და ბ. მწარმოებლებმა კი შეასრულონ ის, რასაც მათი კავშირი შეპირდა მუშების კავშირს, ქარხნების შეკეთების შესახებ და ნუ მისცემენ დავიწყებას თავს, თორემ მუშებს არ დავიწყებია. ან და როგორ უნდა დაავიწყდეს, როცა მთელი დღე მუხლამდის წყალში უხდებათ მუშაობა. და ამ გზით აჯობებს მოქმედება.

ხით ხაფთახი.

პროვინცია

თელავი. 16 თებერვალს ადგილობრივ წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში, თელავის სამაზრო ერობამ გახსნა სახალხო მასწავლებლების ექვს თვიანი კურსები. კურსებზე მსმენელთა რიცხვი უდრის 33. მათ შორის თიანეთის სამაზრო ერობიდან არის გამოგზავნილი 3. კურსები გახსნა სამაზრო ერობის თავმჯდომარემ ლ. ვახვახიშვილმა. იყო წარმოთქმული მილოცვები ადგილობრივ დაწესებულებებიდან. თელავის სამაზრო ერობამ ამ შემთხვევაში გამოიჩინა დიდი უნარი და სიქველე, მან მიაქცია დიდი ყურადღება მასწავლებლების საქმეს, და დაისახა მიზნათ ხელი შეუწყოს სწავლა-განათლებას თელავის მაზრაში. თუ დღემდის ამ მაზრაში სახალხო სკოლების ჩამოთვლა შეიძლებოდა თითებზე, დღეს კი ერობამ ისე გაამრავლა მათი რიცხვი, რომ მასწავლებლებიც არ არის საკმარისი. ერობამ გადასწყვიტა აგრეთვე, რომ სექტემბრიდან მაზრაში დაარსდეს სამი უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი. ნივთიერი მდგომარეობა მასწავლებლის მაზრაში ბევრად უფრო გაუმჯობესებულია, ვიდრე იყო უწინ. ერობა თავის დროზე აკმაყოფილებს მათ თავისი ხვედრი ჯამაგირით, ურიგებს მათ სურსათს, ფართალს და სხვას ხელსაყრელ ფასებში.

გვწამს, რომ თელავის სამაზ. ერობა პირნათლად შეასრულებს თავის დიად მოვალეობას და ხალხის გათვითცნობიერებას შეუწყობს ხელს.

ალ. კაპანაძე.

სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა მაზრის სკოლებისათვის იწვევს მასწავლებლებს არა ნაკლებ 2,300 მან. ჯამაგირისა თვეში (ამაში არ შედის 60 პროც. მომატება, რომელიც დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულია). გარდა ამისა ეძლევა უფასო ბინა და შეშა. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ გამგეობას. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობის რწმუნებულ კირილე ნიკოლაიშვილთან, თფილისში, საპიტრის ქ. ს. № 37.

ცნობები

ბორჯომის ერობის სენით გადამდებ საავადმყოფოში გარდაიცვალა ტიფით იორდანე ალექსის ძე დიასამიძე (ახალციხის მაზრის სოფელ დადეში). დასაფლავებულია ქ. ბორჯომში.

საავადმყოფოს ზედამხედველი ეპიფანე ტალახაძე.

განცხადებანი

საჩქაროდ

იყიდება

50 ცალი „პარტა" მისამართი: მიხეილის (პლეხანოვის) ქ 25 (შესავალი ალექ. ის ქ № 5) მაჩაიძის ბინა 9—12 ს. 4—7 ს.

(662—5—1)

ექიმი

დიმ. კოსტ. მე ერისთავი

(ოზურგეთიდან)

იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52.

(თ. 581)

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს

მოწაფეებს ყველა სასწავლებლისათვის და მოწმობაზე.

არსდება 4, 5, 6, 7

კლასების ჯგუფები; ჩაწერა 9—1 ს., 4—7 ს. მიხეილის პროს. 25 (შესავალი ალექსის ქუჩ. 5)

(662—5—1)

ექიმი ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოვ"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28.

(154—თ.)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენ. ტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

შ. შ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ფილტვების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილ. 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. [illegible] ქ. № 23. ტელეფ. 7—92. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს აქიმობს უფასოთ. (თ 616)

ექიმი დ. მ. [illegible]

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებების ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩუბინაშვილის ქუჩა № 37, [illegible] ახლო.

ექიმი

პ. გ. პართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულებები (სიფილისი "606" და 914 შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ 5—7 საათ. სურამის ქ № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 516)

ექიმი ა. ლიდვენშტეინი

შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლევების: ჰპების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმი

ზ. ი. მირიანაშვილი

შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი დ. ბ. ჯავახიშვილი.

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებების ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ოზურგეთში

ექიმი აბაშიძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლავების, ფილტვის აქიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. სიმაშვილის სახლში. (კუპ. 60)

კერძო სამკურნალო

ქ. დონხინისა

(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141 ტელეფ. 5—97 (სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს" გვერდით). ყოველგვარი სნეულებანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. (ცალკე ოთახები) (თ. 218)

თვალის ექიმი

ს. მ. ცხვედაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. [illegible] ქუჩა № 11. [illegible] ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი ს. ა. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და კანის სნეულებები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა № 33.